

მერაბ კალანდიაძე

**ქართული მედიცინის
სათავეებთან**

1



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2009

წინამდებარე ნაშრომში, ისტორიოგრაფიაში პირველად, განხილულია ქართული მედიევისტიკის განვითარების ერთი საინტერესო მონაკვეთი, დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა და პოპულარიზაცია.

განკუთვნილია შუა საუკუნეების და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრის და სტუდენტებისათვის.

რედაქტორი

პროფ კარლო მეშველიანი

რეცენზენტები

პროფ. გურამ კუტალია

პროფ. ნანა ციხისთავი

სარჩევი

შესავალი5

თავი I

ქართული მედიევისტიკის ძირითადი ეტაპები7

თავი II

შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა

დამოუკიდებელ საქართველოს 1918-1921 წლებში 19

თავი III

ვარლამ ფონდუა როგორც მედიევისტი50

დასკვნა 74

4

e

l

შესავალი

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლას თავისი ტრადიცია გააჩნია. რა თქმა უნდა, ის გაცილებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურება, ვიდრე ქართულ სინამდვილეში ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებით დაინტერესება [1], მაგრამ ეს, ჩვენი ღრმა რწმენით, სულაც არ აკნინებს მედიევისტის საკითხებით დაინტერესება-გატაცების მეცნიერულ მნიშვნელობას და შემეცნებით დატვირთვას.

საბჭოთა პროპაგანდა ხელსაყრელ შანსს არ უშვებდა ხელიდან რათა ხაზი გაესვა, აღენიშნა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში თითქოსდა პოზიტიური არაფერი გაკეთებულა. სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა. ქართული მედიევისტის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს, სწორედ, დამოუკიდებელ საქართველოში დგამს. ამის მიწუმატებას, მიჩქმალვას, ნაყრუებას, როგორც ამას კომუნისტური რეჟიმი ჩადიოდა, არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული აქვს. ჩვენ მონოგრაფიაში „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“ [2] პირველად წამოვნიეთ წინ ეს პრობლემა და ამით ფაქტობრივად დღის წესრიგში დავსვით ამ თემის დაუშავების საკითხი. წინამდებარე ნაშრომი ამ ჩანაფიქრის განხორციელების მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

ასეთი არჩევანი სავსებით გამართლებული ჩანს. ამ პრობლემაზე სიტყვის თქმას ძირითადად ის გარემოება გვაბედინებს, რომ უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს თემა ქართულ მედიევისტისკაში ჯერ არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვევსო ეს ხარვეზი და გაგვეშუქებინა დამოუკიდებელ საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესება, პოპულარიზაცია. ფაქტობრივად ეს არის ქართული მედიევისტის პირველი ნაბიჯი, რომელსაც აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ალბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართული მედიევისტიკის ამ მონაცემების მეცნიერული მნიშვნელობა უმთავრესად, სწორედ, მის შემეცნებით დატვირთვაში მდგომარეობს. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ აკნინებს მის მეცნიერულ წონას. საქმე ის გახლავთ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაცია მეცნიერულ ელფერს იღებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები. დამოუკიდებელ საქართველოში საძირკველი ჩაეყარა შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციას, დაინტერესებას. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ თვისებრივ სიახლეს ნარმოადგენდა. მანამდე ამ სფეროში ქართულ ენაზე ფაქტობრივად არაფერი არ გაგვაჩნდა.

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ ამ პრობლემით ჩვენი დაინტერესება ამით არ ამოიწურება. ამ თემაზე მუშაობას განვაგრძობთ [3].

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 ვ. დონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970; ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1978; Наморалдзе Н., Грузинская передавая общественность о зарубежной Европе (по материалам газеты „Дроеба“ (1866-1886), Тб., 1984 (Автореферат кандидатской диссертации); Л Пирцхალავა, Газета „Иверия“ о проблемах новой истории Европы (1886-1902), Тб., 1990 (Автореферат кандидатской диссертации).
- 2 მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
- 3 მ. კალანდაძე, პროფესორი კუკური ლილუაშვილი - კრ. მესხეთი, VIII-IX, თბ., 2007; მ. კალანდაძე, მასწავლებელი და მეცნიერი, (ექლავება პროფესორი გივი ჟორდანიას დაბადების 80 წლისთავს) - თბილისი, 10 იანვარი, 1992.

თავი I

ქართული მედიევისტიკის ძირითადი ეტაპები

ქართული მედიევისტიკის ისტორია თითქმის შეუსწავლელი თემაა. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით შეგვევსო ეს ხარვეზი და მასზე საგანგებოდ გაგვემახვილებინა ყურადღება. წინამდებარე ნაშრომს აღნიშნული პრობლემის მთლიანად წარმოჩენის პრეტენზია არ აქვს და გაცილებით უფრო მოკრძალებულ ამოცანას ისახავს მიზნად. მას მკაფიოდ გამოკვეთილი ქრონოლოგიური ჩარჩოები გააჩნია – დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა. თემა არის საინტერესო და აქტუალური. ამ საკითხის ლოგიკური გაგრძელებაა ჩვენი მონოგრაფია „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“, სადაც განხილულია პროფ. გრიგოლ ნათაძის და პროფ. ალექსანდრე ნამორაძის წვლილი დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის აქტუალური პრობლემების დამუშავების და პოპულარიზაციის საქმეში. ფაქტობრივად მათ ჩაუყარეს საძირკველი ქართულ მედიევისტიკას [1. 45-81, 147-161].

ქართული მედიევისტიკის ისტორიის განვითარების განხილვის დროს, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიჭრება პერიოდიზაციის საკითხი. რა ძირითადი ეტაპები განვლო ქართულმა მედიევისტიკამ? საკითხი აქტუალური და საინტერესოა, და ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ არ ყოფილა შესწავლილი.

ქართული მედიევისტიკის პერიოდიზაცია მჭიდროდ უკავშირდება ერთ, ჩვენი აზრით, საკმაოდ სერიოზულ და მნიშვნელოვან პრობლემას, ქართული მედიევისტიკის ფერისცვალებას, ევოლუციას, რომელიც უმთავრესად, პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებების გამო, ფაქტობრივად საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის თვალსაწიერს მიღმა დარჩა.

ქართული მედიევისტიკის განვითარება პირობით რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს. ქართულ სინამდვილეში შუა საუკუნეების ისტორიაზე, პირველი თუ არა ერთ-ერთი პირველი, სპორადული ცნობები ჩნდება XIX საუკუნის 80-იან წლებში და მჭიდროდ უკავშირდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას. მისი ძალისხმევის შედეგად გამოვიდა მცირე მოცულობის ნარკვევები ჟანა დარკზე და იან ჰუსზე [2]. ფაქტობრივად, ეს იყო შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. სავსებით მართლზომიერი იყო, რომ ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ასნლიანი ომის (1337-1453) დროს ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ ჟანა დარკის მეთაურობით და XV საუკუნის დასაწყისში ჩეხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა იან ჰუსის ხელმძღვანელობით. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ცარიზმის უღელქვეშ მოქცეული საქართველოსთვის აქტუალური იყო. ამავე დროს ყურადღებას იპყრობს შუა საუკუნეების ისტორიის ოფიციალური რუსული სახელმძღვანელოები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობდა სწავლება საქართველოს სკოლებში [3]. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად ეს სახელმძღვანელოები საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესების პრელუდიას, შესავალს წარმოადგენს. ამიტომ, ჩვენი აზრით, 1918 წლამდე მონაკვეთი საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესების წინარეისტორიად შეიძლება მივიჩნიოთ.

ქართული მედიევისტისტიკის ისტორიაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან ნიშანს ეტად გვევლინება 1918 წელი. ქართული მედიევისტისტიკის განვითარებას მძლავრი სტიმული მისცა ორმა გარემოებამ: 1918 წლის 26 იანვარს სულმნათი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ფაქტობრივად ამით იწყება ქართული მედიევისტისტიკის პირველი პერიოდი, რომელიც გასრულდა 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით. საქართველომ სუვერენიტეტი დაკარგა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო გამოწვეული, რომ მედიევისტისტიკის თემატიკით დაინტერესების ფართოდ გაშლა ვეღარ მოესწრო. ფაქტობრივად ამ ხანებში ჩაყვარა საძირკველი საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციას. ამ პერიოდში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ამ პერიოდის მეცნიერულ მნიშვნელობას უმთავრესად მისი შემეცნებითი დატვირთვა, ღირებულება, განსაზღვრავს. ეს სახელმძღვანელოები ქართულ სინამდვილეში მედიევისტისტიკის საკვანძო პრობლემებთან შეჭიდების პირველ მცდელობას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

აღბათ, ქართული მედიევისტისტიკის განვითარება სულ სხვა გზით წარიმართებოდა თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ საქართველოს გასაბჭოებას 1921 წლის 25 თებერვალს. ამან რადიკალურად შეცვალა ქართული მედიევისტისტიკის განვითარება. ფაქტობრივად ამით იწყება ქართული მედიევისტისტიკის მეორე პერიოდი, რომელიც გასრულდა 90-იანი წლების დასაწყისში. საბჭოთა კავშირი დაიშალა.

საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტისტიკაში შუა საუკუნეების ისტორიის თემატიკით დაინტერესებამ მეცნიერული ხა-

სიათი მიიღო. რა თქმა უნდა, ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი და ამის უჭულეებელყოფა, მართებული არ იქნებოდა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაინტერესებამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და დამყარდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. ისტორიულ მეცნიერებას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. მნიშვნელოვანწილად ამის შედეგი იყო ის, რომ მარქსისტული მედიევისტიკა ჩიხში მოექცა. „ყმანვილებო ის რასაც თქვენ ისმენთ ლექციებზე და კითხულობთ შუა საუკუნეების სახელმძღვანელოებში (იგულისხმება საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოები) რეალურად არ არის ის შუა საუკუნეები, რომელზეც საუბრობს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. ეს არის გალარიბებული, გაუფერულებული, ადამიანისაგან დაცლილი, კასტრირებული, უდიდესი ისტორიული ეპოქა, ათასი წლის მანძილზე“ – დასძენს ცნობილი რუსი მედიევისტი პროფ. არონ გურევიჩი [4.195]. ეს მიდგომა ქართულ მედიევისტიკას ძალად მოახვიეს თავს და მას ამის წინააღმდეგ ხმის ამოღების არანაირი საშუალება არ ჰქონდა.

საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის განვითარებას აქვს თავისი პერიოდიზაცია და პირობით სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს. ფაქტობრივად ეს არის ამ ეპოქის ქართული მედიევისტიკის შიდაპერიოდიზაცია, ქვეპერიოდები. პირველ ყოვლისა, ასეთ მნიშვნელოვან მიჯნას, რა თქმა უნდა, წარმოადგენს 30-იანი წლების შუა ხანები, როდესაც საბჭოთა კავშირში მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. ისტორიული მოვლენებისადმი მრავალკარიანტული მიდგომა წარსულს ჩაბარდა. მეცნიერული იყო მხოლოდ შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემების მარქსისტული ინტერპრეტაცია. ეს იყო ბოლშევიკურ-ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ მეცნიერებაში უხეში ადმინისტრაციული ჩარევის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, რომელსაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არავითარი სასიკეთო შედეგი არ მოყოლია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ის დისკუსია, რომელიც ჩატარდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1936 წლის 23 მარტიდან 2 აპრილამდე და რომელმაც 1937 წლის „დიდი ტერორის“ უვერტურად გაიღერა [5]. ფაქტობრივად ეს იყო პოლიტიკური და იდეოლოგიური ანგარიშსწორება ქართული ისტორიოგრაფიის და მისი აღიარებული ლიდერის დიდი ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ, რომელიც მკაფიოდ გამოხატულ კონიუნქტურულ ხასიათს ატარებდა და მორიგ პოლიტიკურ დაკვეთას ნარმოადგენდა [6]. „ეს ღონისძიება... უნდა ჩაითვალოს ჩვენთან მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ჩასახვისა და ჩამოყალიბების პირველი პერიოდის დასასრულად, რადგან შემდეგ უკვე საქართველოს ისტორიის, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის კვლევა, არსებითად, ძირეულად, განსხვავდებოდა წინა წლებში (1936 წლამდე) ჩატარებული მუშაობისაგან“ – დასძენს პროფ. უშანგი სიღამონიძე [7 .78]. „დისკუსიის შედეგად მოხდა ისტორიკოსთა დიდი ნაწილის საბოლოო მოთვინიერება. მეცნიერების ამ დარგის უნიფიცირება, საბოლოო გაუფერულება (მეთოდოლოგიური თვალსაზრისით)“ – წერს პროფ. გურამ ყორანაშვილი [8.118] მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია. ფაქტობრივად აქ მთავრდება ქართული მედიევისტის განვითარების ოპტიმალური ხანა, როდესაც ის უპირეტსად მეცნიერული გზით მიდიოდა და იმ ნოვაციებზე, სიახლეებზე, იყო ორიენტირებული, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპულ, პირველ რიგში რუსულ მედიევისტკაში. ამ მხრივ ყურადსაღებია, არა მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1920 წლებში გამოხული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები [9], არამედ 20-იან წლებში პროფ. გრიგოლ ნათაძის მიერ დაწერილი შრომები [10,1]. აქედან მოყოლებული ქართული მედიევისტკა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მომწყვდეული. მისი შემდგომი განვითარება, სწორედ, ამ მიმართულებით წარიმართა.

მეორე მნიშვნელოვან ნიშანს ეტად გვევლინება 50-იანი წლების შუა ხანები. 1953 წელს გარდაიცვალა ი. სტალინი. დაი-

ნყო ლიბერალიზაციის ხანა „დათბობის პერიოდი“, რომლისთვისაც დამახასიათებელია „იდეური დაბნეულობა“. დაგმობილი იქნა ყველაზე უფრო ოდიოზური სტალინური დოგმები და სტერეოტიპები. ამის ერთ-ერთ ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ი. სტალინის ბრუნისზე „მონათა რევოლუციაზე“ [11. 514], უარის თქმა [12]. პრაქტიკულად აქ მთავრდება მეორე ქვეპერიოდი, სტალინური ეპოქა. განსაყუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ქართული მედიევისტიკის ლიდერების პროფ. გრიგოლ ნათაძის (1878-1951) და პროფ. ალექსანდრე ნამორაძის (1890-1958) მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე უფრო ნაყოფიერი მონაკვეთი, სწორედ, ამ რთულ წლებზე, სტალინის ხანაზე, მოდის. თუ არა ეს ისინი მედიევისტიკის სფეროში, ალბათ, გაცილებით უფრო მეტის გაკეთებას შეძლებდნენ. ჩვენი ღრმა რწმენით, სტალინის რეჟიმის პირობებში მათი როგორც მედიევისტიკის მდიდარი მეცნიერული პოტენციალი ბოლომდე და რაც მთავარია სწორედ გამოყენებული არ ყოფილა.

ამრიგად, საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის განვითარება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ: 1. საქართველოს გასაბჭოებიდან 30-იანი წლების შუა ხანებამდე; 2. 30-იანი წლების შუა ხანებიდან ი. სტალინის გარდაცვალებამდე. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მონოპოლია. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების სტალინიზაციას; 3. სტალინის გარდაცვალებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე. უძრაობის ხანა გადასინჯული იქნა ყველაზე უფრო ოდიოზური მარქსისტული სტერეოტიპები და შტამპები. მაგ. სტალინის თეზისი „მონათა რევოლუციის“ შესახებ. ფაქტობრივად ეს არის ქართული მედიევისტიკის განვითარების მეორე პერიოდის შიდაპერიოდიზაცია.

რა თქმა უნდა, საბჭოთა პერიოდის მედიევისტიკის აპოლოგეტური წარმოჩენა, რაც ფართოდ დომინირებდა იმ ხანაში, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ეს ერთი უკიდურესობა იყო.

არსებობს სხვა უკიდურესობაც. სახელდობრ, საბჭოთა მედიევისტიკის სრული განქიქება, გაბიაბრუება, მინასთან გასწორება. ეს ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჭეშმარიტებასთან არ მიგვაახლოებს. ამგვარი განაჩენი მეტად მკაცრად ჟღერს. საბჭოთა პერიოდის მედიევისტიკის შეფასება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. უკიდურესობებს უნდა ვერიდოთ. რა თქმა უნდა, ეს ძალზე ძნელია. უმთავრესად, ამუშავებდნენ მეცნიერულ პრობლემებს, რომლისთვისაც იძულებული იყვნენ მარქსისტული ინტერპრეტაცია მიეცათ. არჩევანი არ არსებობდა. განსხვავებული აზრი იდევნებოდა და ითრგუნებოდა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ასე უფრო ადეკვატური იქნებოდა.

1991 წლის დეკემბერში დაიშალა საბჭოთა კავშირი. ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას წერტილი დაესვა. ახლა ქართულ ისტორიოგრაფიას შეეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტობრივად აქედან იწყება ქართული მედიევისტიკის განვითარების მესამე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. ამჯერად ამ საკითხის სრულყოფილად წარმოჩენის პრეტენზია არ გავგაჩინა და მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, დღის წესრიგში იდგა შუა საუკუნეების ისტორიის განმენდა მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამებისაგან. ცხადია, ეს არ იქნებოდა ადვილი საქმე და გარკვეულ დროს და ძალისხმევას მოითხოვდა. სწორი არ იქნება ვიფიქროთ თითქოს ამ მიმართულებით ქართულ მედიევისტიკაში არაფერი კეთდებოდა. სინამდვილეში ეს ასე არაა, თუმცა გასაკეთებელი, რა თქმა უნდა, კიდევ ძალიან ბევრია.

შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული გააზრების დაძლიების გზაზე გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად ახალი სასკოლო სახელმძღვანელო მიგვაჩნია [13]. ამ კარგი ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტო-

რიაში [14;15;16] და ზოგიერთი მონოგრაფია [1]. გადასინჯული იქნა მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია [17]. ფაქტობრივად ეს იყო ერთი მიმართულება, რომლის მთავარი სულის-ჩამდგმელი და თავკაცი პროფ. კოტე ანთაძე იყო.

მისასაღმეჭელია, რომ გვაქვს სკოლის სხვა სახელმძღვანელო [18] და რაც მთავარია დაინერა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო [19]. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მარქსიზმის მთლიანად დაძლევაზე ლაპარაკი, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ ნაადრევია. მისი რეციდივები ისევ გვხვდება. უნინარესად ასეთად მიგვაჩნია აზრთა სხვადასხვაობა შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაციის საკითხში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის ზღვარი გადის XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის დასაწყისზე, როგორც ამას ხაზს უსვამს ევროპული და ამერიკული ისტორიოგრაფია. შუა საუკუნეების ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში და ზოგიერთ გამოკვლევაში [20] გატარებულია აზრი, რომ შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის ზღვარი გადის XVII საუკუნის შუა ხანებზე. ერთ შემთხვევაში მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვა მკვეთრად გამოკვეთილად რადიკალურ ხაითს ატარებს. მეორეში კი არა და რალაც კომპრომისის გამოძებნას ცდილობს. ფაქტობრივად, ეს ძველი თვალსაზრისის რენიშმაციაა და შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციის წისქვილზე ასხამს წყალს [21]. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ასეთი აზრთა სხვადასხვაობა ძალიან კარგია, მისასაღმეჭელია და საბჭოური ეპოქის ერთგვაროვნების დაძლევის მცდელობაა.

დაინერა სახელმძღვანელოები ინგლისის ისტორიაში [22]. ეს პოზიტიურია და სტუდენტს საშუალება აქვს აირჩიოს ის სახელმძღვანელო, რომელიც მას მოეწონება. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. საბჭოთა პერიოდში მას ასეთი ფუფუნების საშუალება არ ჰქონდა.

ბოლო ხანებში დაინერა რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა, რომელთა ერთი დიდი ნაწილი შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მიჯნაზეა. აქ პირველ რიგში, ცხადია, ვგულისხმობთ გერმანიაში, შვეიცარიაში, ინგლისში რეფორმაციაზე შექმნილ შრომებს. რა თქმა უნდა, არის სხვა გამოკვლევებიც, წმინდა მედიევისტიკის თემატიკაზე, მაგრამ ამჯერად მათზე დეტალურად შეჩერება არ წარმოადგენს ჩვენ მიზანს და მას, ალბათ, ერთი საინტერესო გამოკვლევა შეიძლება მიეძღვნას.

როგორც ჩანს, ყინული თანდათან დაიძრა. ეს არის მთავარი. ამავე დროს, ცხადია, არავის აქვს ილუზია თითქოს მარქსიზმი საბოლოოდ დაძლეულია. ეს შრომები მედიევისტიკის პრობლემების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებად უნდა მივიჩნიოთ. მიუხედავად ამისა, დაეძინო, რომ ქართულ მედიევისტიკას წინ კიდევ დიდი და შრომატევადი სამუშაო აქვს ჩასატარებელი. თანდათან უნდა გადავიდეთ ფორმაციული მიდგომიდან კულტუროლოგიურ, ცივილიზაციურ, კულტურულ-ანთროპოლოგიურ რაკურსში. ცხადია, ამას უწინარესად დრო ჭირდება. ეს ასე სწრაფად ვერ მოხდება.

ამრიგად, საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლას და დაინტერესებას თავისი ტრადიცია გააჩნია. ქართული მედიევისტიკის განვითარება პირობით რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს: 1918 წლამდე მონაკვეთი პირობით საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესების წინაისტორიად შეიძლება მივიჩნიოთ. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ქართული მედიევისტიკის აკვანი, სწორედ, დამოუკიდებელ საქართველოში კერძოს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაირწა. ეს, პირველ ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ დიდი ყურადღება მიექცა შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები. ეს იმდროინდელი

ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო და ამის ნაყრუება, გვერდის ავლა, როგორც ამას კომუნისტური რეჟიმი ჩადიოდა, უმართებულო იქნებოდა. ამიტომ ეს მონაკვეთი პირობით ქართული მედიევისტიკის ჩასახვის, განვითარების, პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. მას უმთავრესად შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნდა.

მეორე პერიოდს მკვეთრად გამოკვეთილი ქრონოლოგიური ჩარჩოები გააჩნია. ეს არის საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკა. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესებამ მეცნიერული ხასიათი მიიღო, მაგრამ იგი ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. ფაქტობრივად განსხვავებული აზრი იდეენებოდა. არჩევანი არ არსებობდა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტიკის კიდევ თავისი პერიოდიზაცია აქვს და პირობით სამ მონაკვეთად შეიძლება დაეყო.

90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იწყება ქართული მედიევისტიკის განვითარების მესამე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. მისი მთავარი დამახასიათებელი შტრიხი იმაში მდგომარეობს, რომ ქართული მედიევისტიკა ცდილობს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების განხილვა ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დააბრუნოს. ცხადია, ეს არ იქნება ადვილი საქმე და გარკვეული დრო დაჭირდება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
2. ფანა დარკი, თბ., 1889. იან პუსი, 1889.

3. Иловацкий Д., Средняя история, М., 1876; Васильев, Курс истории средних веков, М., 1915; Вишпер Р., Учебник истории средних веков, М., 1903; Иванов К., Сокращённый курс истории средних веков. Петроград, 1915; История средних веков, состав. Деборин К., М., 1912. და სხვა მრავალი.
4. Гуревич А., История историка, М., 2004.
5. სტენოგრაფია „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“ – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი – ფონდი 471. აღწერა 19, საქმე 4 და 5.
6. ივანე ჯავახიშვილი, ტირანიის სამსჯავროს წინაშე, გამო-საცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბ., 2004.
7. უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970.
8. გ. ყორანაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1994.
9. ვ. დონდუა, საშუალო საუკუნთა ისტორია, თბ., 1920; აღ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნან., 2. საშუალო საუკუნეების ისტორია, თბ., 1920; ი. გველესიანი, საშუალო საუკუნეების ისტორია, თბ., 1920; ა. ვულფოუსი, საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო, ქუთაისი, 1919.
10. გრ. ნათაძე, მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მართვა შეროვინგების დროს – უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXIV, თბ., 1924; გრ. ნათაძე, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, თბ., 1926.
11. ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გამოცემა მე-11, თბ., 1952.
12. Корсукии А., Проблема революционного перехода от рабовладельческого строя к феодализму в Западной Европе – "Вопросы истории", № 5. 1964.

- 13 კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა, შუა საუკუნეების ისტორია, თბ., 1996 (არის სხვადასხვა გამოცემები).
- 14 მ. კალანდაძე, გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2002.
- 15 კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
- 16 მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
- 17 კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის – მაცნე, ისტორიის სერია, № 2. 1992; კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის – „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, № 1. 1992; Каландадзе М., Грузинские Школьные учебники по новой истории – «Преподавание истории в школе», № 7. 1994.
- 18 ბ. ჯავახია, ა. გეთიაშვილი, შუა საუკუნეების ისტორია, თბ., 2003. აქ სულ სხვა პერიოდიზაციაა მოცემული. შუა საუკუნეების ისტორიას ასრულებენ დიდი აღმოჩენებით. ამგვარ მიდგომას აქვს არსებობის უფლება, თუმცა საკამათო შეიძლება იყოს.
- 19 შუა საუკუნეების ისტორია, პროფ. გ. კუტალიას რედაქციით, ნაკვეთი I. თბ., 2004.
- 20 ა. გეთიაშვილი, რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია ანუ განა უნდა დაუბრუნდეთ XV საუკუნეს? – შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ნან. II. თბ., 2000.
- 21 ამ საკითხზე დანერილებით იხილეთ მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
- 22 რ. გაჩეჩილაძე, ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა, თბ., 1994. ივ. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004.

თავი II

შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა დამოუკიდებელ საქართველოს 1918-1921 წლებში

საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის დროს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია ტაბუდადებული თემა იყო და ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე ამოეშალათ ქართველი ხალხის ცნობიერებიდან, მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდნენ. ხაზს უსვამდნენ, რომ ამ პერიოდში საქართველოში თითქოს სასიკეთო არაფერი გაკეთებულა. კომუნისტური პროპაგანდა დამოუკიდებელ საქართველოს გაბიაბრუებით ცდილობდა განედიდებინა ბოლშევიკური რეჟიმი. სრულიად სანინააღმდეგო პოზიციაზე იდგნენ მათი პოლიტიკური ოპონენტები, პირველ რიგში კი ქართული ემიგრაცია. ისინი სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ. კარლო ინასარიძის თქმით, ეს იყო საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“. დღეს საქართველოში პოლიტიკური კონიუქტურა მკვეთრად შეიცვალა და სიმართლეს წინ აღდარაფერი უდგას – „დრო ყველაზე უფრო ნამუსიანი კრიტიკოსია“.

აღნიშნული თემა დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ტოტალიტარული, ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალისხმევის შედეგად თითქმის სრულიად მივიწყებული, იგნორირებული, უგულვებელყოფილი, იყო. საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესების ეს მონაკვეთი ფაქტობრივად გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც ყოფილა. გვიმტკიცებდ-

ნენ, რომ ამ თემატიკით დაინტერესება დაიწყო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. სინამდვილეში ეს ასე არ იყო. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემებით დაინტერესებამ პირველმა სიმპტომებმა საკმაოდ მალულად იჩინა თავი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში. ამ პერიოდში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოები, ვჭიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. თავდაპირველად შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესება თარგმნილ ლიტერატურაში გამოიხატებოდა [1]. ახლა შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციამ მეცნიერული ელფერი შეიძინა.

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების პოპულარიზაციას, გატაცებას, მძლავრი ბიძგი მისცა ორმა გარემოებამ: 1918 წლის 26 იანვარს სულმნათი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამ და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ.

* * *

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის თემატიკით დაინტერესებამ უმთავრესად სასკოლო სახელმძღვანელოებში პპოვა ასხავა. ეს ადვილი გასაგებია. საქმე ისაა, რომ ახლადშექმნილ რესპუბლიკას პაერივით ესაჭიროებოდა სახელმძღვანელოები მშობლოურ ენაზე. სხვაგვარად მსოფლიო ისტორიის ნორმალურად სწავლება წარმოუდგენელი იქნებოდა. მნიშვნელოვანიილად, სწორედ, ამით იყო განპირობებული მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოების ის ბუმი, რომელსაც ადგილი პქონდა 1918-1920 წლებში. დადგა დრო ამ სახელმძღვანელოებს გადავწმინდოთ მივიწყების სქელი მტვერი. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მიმართუ-

ლებით შეინიშნება პოზიტიური ძვრები და გადაადგმული იქნა პირველი მოკრძალებული ნაბიჯები ამ სახელმძღვანელოების რეანიმაციის გზაზე [2].

საფიქრებელია, რომ ეს იყო მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი. ამას, ალბათ, მოყვებოდა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები, მაგრამ ამის გაკეთება უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ვეღარ მოხერხდა. 1921 წლის 25 თებერვალს მოხდა საქართველოს გასაბჭოება. ეროვნული სახელმძღვანელოები უკვე აღარავის ესაჭიროებოდა. ყველაფერი იმართებოდა ცენტრიდან.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში გამოვიდა შუა საუკუნეების ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელო: ალ. ნერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი 2. საშუალო საუკუნეები [3]; ი. გველესიანი, საშუალო საუკუნეების ისტორია [4]; ვ. დონდუა, საშუალო საუკუნეების ისტორია [5]; ა. ვულფოუსი, საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო [6]. უნდა ითქვას, რომ შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში უფრო მეტად დამკვიდრდა ტერმინი შუა საუკუნეების ისტორია.

სახელმძღვანელოების ასეთმა სიმრავლემ არ უნდა გაგვაკვიროს და უპირატესად იმითაა განპირობებული, რომ დამოუკიდებელ საქართველოში საკითხისადმი პლურალისტურ მიდგომაზე იყვნენ ორიენტირებული და მწვანე შუქი ჰქონდა ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომას. ამგვარი მეთოდი საინტერესოა და აშკარად პროგრესული ელფერი დაკრავდა. ეს, უპირველეს ყოვლისა იმით გამოიხატებოდა, რომ მოსწავლეებს არჩევანის საშუალებას უტოვებდა და აჩვენებდა დამოუკიდებელ აზროვნებას. სუვერენულ საქართველოს განათლების სისტემა პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, რაც თვისებრივად წინადადებულ ნაბიჯს წარმოადგენდა ცარიზმის დროს არსებულ ოფიციალურ სახელმძღვანელოებთან

შედარებით, სადაც ძირითადად საკითხისადმი მონარქისტულ-კლერიკალური პოზიციებიდან მიდგომა დომინირებდა [7].

სუვერენულ საქართველოში ძალიან კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული შუა საუკუნეების ისტორიის ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის აქტუალობა და მნიშვნელობა, ის სირთულეები, რომელიც დაკავშირებული იყო შუა საუკუნეების ისტორიის ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნასთან. „შკოლის გაეროვნებამ პირისპირ დაუყენა ქართველ მასწავლებლობას საკითხი სახელმძღვანელოების შესახებ. ყოველ მხრივ დაინყო მუშაობა, მაგრამ სხვადასხვა გზით. ჩვენში, საუბედუროთ, როცა მასწავლებლობა გაეროვნებული შკოლისათვის საკმაოდ მომზადებული არ არის, ასეთ მუშაობას არ შეეძლო იმდენი ნაყოფი მოეტანა, როგორც სპეციალისტებისაგან შემდგარ კომისიებს, სადაც შემუშავებული იქნებოდა მუშაობის გეგმა, ტერმინები სახელმძღვანელოებისათვის და სხვა. დღეს ყოველი მასწავლებელი მოქმედებს და ასწავლის ისე, როგორც მას სურს და ესმის. შკოლა ასეთ ცუდ მდგომარეობაში, მგონი არ ყოფილა არც წინეთ, რადგან საერთო ენა არ არსებობს არა მარტო სხვადასხვა სასწავლებელთა მასწავლებლებს შორის, არამედ ერთისა და იმავე სასწავლებლის მასწავლებლებშიც. ეს იმის მაჩვენებელია, რაც ზემოთ ვსთქვი, რომ ყოველ ჩვენგანს ეხერხება თავისი გზით სიარული, ვიდრე კომისიებში მუშაობა და თავისი სურვილებისა და მოქმედების საერთო ნორმისთვის დაქვემდებარება-შეფარდება. თუ ჩვენ გული შეგვტკივა შკოლის საქმისთვის, ეს ნაკლი თავიდან უნდა მოვიშოროთ“ [6.2].

მიუხედავად მთელი რიგი სირთულეებისა შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელ საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის საკითხში სწორი კურსი უნდა ჰქონოდათ აღებული. რაც შეეხებოდა ორგანიზაციული ხასიათის საკითხებს ეს მოგვარებადი იყო და უნდა ვიფიქროთ, რომ ნელ-ნელა, თანდათან, ეს საქმე მონესრიგდებოდა. სახელმძღვანელოები კიდევ უფრო დაიხვეწე-

ბოდა, სრულყოფილი გახდებოდა. საერთო ენა რომ გამოგენახა საჭირო იყო ეს გზა გაგვევლო. ამას დრო უნდოდა, მაგრამ დრო ძალიან ცოტა იყო.

პროფ. ეულფიუსის სახელმძღვანელო მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო და მისი ქართულ ენაზე თარგმნა სავსებით გამართლებული ჩანდა. ეს იყო შექმნილი სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი. იყო სხვა გზებიც. ასე მაგალითად ი. გველესიანმა რუსი ისტორიკოსის ვასილევის სახელმძღვანელოს მიხედვით შეადგინა ქართული სასკოლო სახელმძღვანელო. სულ სხვა გზას დაადგა შემდგომში ორი ცნობილი ქართველი ისტორიკოსი – პროფ. ვარლამ დონდუა და პროფ. ალექსანდრე წერეთელი. მათ დაწერეს იმ დროისათვის საინტერესო სახელმძღვანელო, თუმცა ევროპული, პირველ რიგში კი, რუსული ისტორიოგრაფიის, კეთილისმყოფელი გავლენა, გამორიცხული არ ყოფილა.

სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესში, ბუნებრივია, წამოიჭრებოდა მთელი რიგი სირთულეები, რომლებიც, სხვათა შორის, შემდგომი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წინაშეც იდგა და რომლებსაც შეიძლება ითქვას, რომ თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავთ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს ეხება სახელმძღვანელოს სტრუქტურას, არქიტექტონიკას. რა ადგილი უნდა დაიკავოს სახელმძღვანელოში კულტურის ისტორიამ და რა დოზით შეიძლება მივანოვოთ ეს მასალა მონაფეებს. რა თანაფარდობა უნდა იყოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ისტორიის შორის და რაც მთავარია მარადიული თავსატეხი ტერმინოლოგიის დადგენა. ისინი შეეცადნენ ამ სინდნელების გადალახვას.

№1. საშუალო საუკუნეების ისტორიის მთავარ ღერძს ფეოდალიზმი შეადგენს. ამიტომ ფეოდალიზმის შესწავლას სახელმძღვანელოში უდიდესი ადგილი დაუთმეთ. ჩვენ ზედან შევეცადეთ, რომ ამ რთული მოვლენის შეთვისება მოსწავლისათვის გაგვეადვილებინა. ამისათვის მის შესწავლაში შემდეგი წესი დავიცავით.

ჯერ უმარტივესად ავხსენით ფეოდალიზმის ლექსიური მნიშვნელობა, მოსწავლეს მივანოდეთ პირველი ცნობები ფეოდალიზმისათვის: ამის შემდეგ რა ავუხსენით ფეოდალიზმის წარმოშობი პირობები, შევუდექით ისეთი ქვეყნის კონკრეტულ განხილვას, სადაც ფეოდალიზმი ტიპურად იყო განვითარებული, როდესაც ამ ქვეყნის ტიპური მოვლენები (სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური) დავახსიანათ, ამ მოვლენებს თავი მოვუყარეთ – და დასკვნაში მათ ერთობლივ ფეოდალიზმი დავარქვით. ასე რომ ფეოდალიზმის განმარტებული ფორმულა კონკრეტული მოვლენების დახასიათების შემდეგ მივანოდეთ მოსწავლეს დასამახსოვრებლად. ზედან ფეოდალიზმის მრავალსახეობის შესაცნობლად მოკლედ დავახსიანათ შედარების საშვალეებით უფრო საინტერესო ქვეყნები, მათ შორის საქართველო და რუსეთი.

2. საერთოდ, ისტორიის თხრობისას ვცდილობდით ეკონომიური მოძღვრების საფუძველზე მდგარიყავით. ამიტომ დიდი ყურადღება მივაქციეთ საშუალო საუკუნეთა მომმართველს ნატურალურ მეურნეობას; ჩვენ შევეცადეთ მონური მეურნეობიდან ამ მეურნეობის ბუნებრივი განვითარების პროცესის წარმოდგენას. (რამაც თავის დროზე ჩვენ თავისთავად საშუალება მოგვცა – საერთოდ ძველთა და საშუალო საუკუნეთა ბუნებრივი კავშირის ნათელყოფისა). რის შემდეგაც ნატურალური მეურნეობის დამახასიათებელი მოვლენები მწყობრად აღვუხსენით საამისოდ საგანგებოდ შედგენილ ცალკე თავში. თავის ადგილზე ამ მეურნეობას პირდაპირ დავუკავშირეთ სოციალური მოვლენები, ამათ შორის ბატონყმობა, რის შესწავლასაც აგრეთვე ცალკე თავი დავუთმეთ.

3. ჯვარიანობის ეპოქის შესწავლისას ჩვენ ეპოქის ნიშანდობლივ თვისებად ჯვაროსანთა საგრობანი კი არ გამოგვიყვანია, არამედ ერთად სამი მოვლენა – ჯვარიანობა, იმპერატორის და პაპის აშლილობა და ქალაქების აღორძინება. ვინაიდან ეს სამივე დიდი მოვლენა პარალელურად და ერთმანეთის გავლენით ვითარდებოდა და ერთი ეპოქის სამ უდიდეს მომენტს შეადგენ-

და. კიდეც ამიტომ ჩვენს სახელმძღვანელოში ერთ დიდ თავად ჯვარიანობა კი არა, არამედ ჯვარიანობის ხანა გამოვიტანეთ.

4. რაც შეეხება საშუალო საუკუნეთა დამახასიათებელ სამ კულტურას (ბიძანტორი, არაბული, დასავლური) – თითოეული ამათგანი ჩვენ იმ ქვეყნის ისტორიაში მოვაქციეთ, საიდანაც იგია წარმოშობილი. ზედან ფეოდალური დასავლეთის შესწავლისას დასავლური კულტურა მთავარ მომენტებად დავანანილეთ და თითოეული ამათგანი ისტორიის უდიდესი საკითხების გაშუქებისას გამოვიყენეთ. ამისდა მიხედვით ერთი მომენტი ფეოდალური ქვეყნის დახასიათებისას მოვიმარჯვეთ. მეორე პაპობის ბატონობის განხილვისას, ხოლო მესამე ქალაქების აღორძინების შესწავლისას. ასე ნაწილნაწილ, თავთავის დროზე კულტურის შესწავლა, უეჭველია, აღებული საკითხის გაშუქებისა და დაინტერესების საშვალებას იძლევა, ამისდა მიხედვით თვით კულტურის ისტორიაც უფრო მიმზიდველი ხდება მოსწავლისათვის.

5. უკანასკნელ, ზედმეტად არ მიგვაჩნია ისიც დავძინოთ, რომ წარმოდგენილ სახელმძღვანელოში ენის ეროვნული სინამდის დაცვას შევეცადეთ. ამისდა მიხედვით არსებულ ქართულ ტერმინოლოგიაში შესაფერისი სიტყვები შევარჩიეთ ... კიდეც შევეცადეთ ჩვენი საკუთარი ტერმინებიც შეგვემუშავებინა..." [5.154].

ამ მსჯელობის ირგვლივ დაუსრულებლად შეიძლება კამათი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ის წარმოადგენს შუა საუკუნეების ისტორიაში ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნის სფეროში არსებულ სიძნელებებთან შეჭიდების პირველ მცდელობას. ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობდა მისი მნიშვნელობა.

მოუხედავად მთელი რიგი სიძნელებისა შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ამ რთულ ამოცანას ურიგოდ როდი გაართვეს თავი და პირველი ნაბიჯი გადადგეს შუა საუკუნეების ისტორიის ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნის გზაზე. ეს იმეამინდელ სასკოლო განათლების ფონზე სერიო-

ზული წინგადადგმული ნაბიჯს წარმოადგენდა და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმატებად მიგვაჩნია. ამის მიზნობა, წაყრუება, მიჩქმალვა სწორი არ უნდა იყოს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოები რამდენჯერმე იქნა გადამუშავებული და გამოცემული. ყველაფერი ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ სახელმძღვანელოების ავტორები მეტად სერიოზულად ეკიდებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას და ცდილობდნენ სახელმძღვანელოს შემდგომ სრულყოფას, დახვეწას. „ამ გამოცემაში შევიტანეთ ზოგიერთი თვალსაჩინო ცვლილება, რომელთა მთავარი მიზანია გაარკვიონ და უკეთესად გააშუქონ ის ნაწილები საშუალო საუკუნეთა ისტორიისა, რომელნიც, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო ძნელი შესასწავლია მონაფისათვის. ზოგან ახალი მცნებები დაურთეთ, ზოგან კი აზრი უცვლელი დავტოვეთ, ხოლო გადმოცემა გავამარტივეთ, გავაშალაშინეთ“ [3. 2]. თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები ეს პროცესი კიდევ გაგრძელდებოდა და შეიქმნებოდა შუა საუკუნეების ისტორიის ძალიან კარგი სასკოლო სახელმძღვანელო.

უდაოდ, მისასაღმებელია, რომ შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული არა მხოლოდ მეცნიერები, არამედ საშუალო სკოლის პედაგოგები. აქედან კარგად ჩანს თუ რაოდენ დიდი იყო ამ უკანასკნელთა პოტენციალი. საგულისხმოა, რომ ახალი სახელმძღვანელოები იქმნებოდა როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, დამოუკიდებელ საქართველოში ავად თუ კარგად შეძლეს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

სახელმძღვანელოების ავტორთა ღრმა რწმენით, საგნის სწავლებისას მასწავლებელი უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი, სუვერენული და არაა საჭირო მიეჯახჭვოს სკოლის პროგრამას.

შუა საუკუნეების ისტორიის ახალი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის დროს ძირითადად ორიენტირებული იყვნენ ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის, საუკეთესო ტრადიციებზე. ჩვენი აზრით, ეს არანაირად არ აკნინებს ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას და იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ისინი ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მიუდგნენ.

აღსანიშნავია, რომ მათ მექანიკურად კი არ სურდათ ქართულ სკოლაში ამ სახელმძღვანელოების დანერგვა, არამედ გარკვეულ შემოქმედებით ინიციატივას ამჟღავნებდნენ, რაც იმით გამოიხატება, რომ ისწრაფიან ეს სახელმძღვანელოები ქართული სკოლის მოთხოვნებს მიუსადაგონ. შეძლებისდაგვარად შეავსონ ის ხარვეზები, რომელიც, მათი შეხედულებით, რუსულ სახელმძღვანელოებში შეინიშნებოდა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელმძღვანელოს დანერისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებასთან, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ი. გველესიანის სახელმძღვანელო. აი რა დამატებები შეუტანია მას ვასილევის შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოში. „ა. რუსეთის ისტორია: 1. ნორმანები და ნოვგოროდის სამთავროს დაარსება, 2. ბიზანტია და რუსეთი, 3. რუსეთის სახელმწიფოს მოკლე ისტორია. XI საუკუნიდან მოსკოვის სამთავროს გარშემო ველიკოროსის გაერთიანება. შ. საქართველოს ისტორია: 1. საქართველო ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ომის დროს. 2. არაბების მფლობელობა საქართველოში. 3. თურქ-სელჯუკების შემოსევა საქართველოში. 4. ჯვაროსანთა ომების მნიშვნელობა საქართველოსთვის XII საუკუნეში. 5. ცნობები საქართველოში მონგოლთა შემოსევის შესახებ. გ. მსოფლიო ისტორია: 1. პაპობის პრიმატობის წარმოშობა. 2. სახელმწიფო წესწყობილება სახალიფოში. დ. გადმო-

კეთებულია: 1. ფილოსოფია, მეცნიერება, პოეზია არაბეთში. 2. პუსიტური მოძრაობა, 3. დანტე ალიგიერი" [4. 2].

ცხადია, შუა საუკუნეების ისტორიის რუსულ სახელმძღვანელოებში რუსეთის ისტორია გათვალისწინებული ვერ იქნებოდა. ის ცალკე საგნად ისწავლებოდა. ბუნებრივია, რუსულ სახელმძღვანელოებში ვერც საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა იქნებოდა სათანადოდ გაშუქებული და ქართულ სახელმძღვანელოებში ეს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო.

„პროფ. ვულფოუსის საშუალო ისტორიის სახელმძღვანელოს რუსულ ენაზე არსებულ სახელმძღვანელოებს შორის უპირველესი ადგილთაგან უჭირავს და ამიტომ საჭიროდ ვსცანით, რომ სახელმძღვანელოდ ის ამელო და იმაზედ მემუშავა, შემეფარდებინა ჩვენი სკოლისათვის და გამომეცა. მოუხედავად იმისა, რომ ვულფოუსის სახელმძღვანელო ჩინებულია, მე მაინც, ჩემი შეხედულებით, გამოვტოვე ის, რაც მოსწავლისათვის არ შეადგენს აუცილებელ საჭიროებას, მაგ. მემოხილვა ბიზანტიის სულიერი კულტურისა და სხვა. ეს, როგორც დამატებითი მასალა მასწავლებელს შეუძლია გააცნოს ბავშვებს. აგრეთვე მე დაეუმატე სურათები, რაც ვულფოუსის წიგნში არ არის. ვინაიდან ვულფოუსს საშუალო საუკუნეების ხელოვნებაზე არ აქვს რა, ამიტომ მე შევეცადე, ამ მხრივ რამდენადმე ეს ნაკლი შემეცხო სურათებით. აქ საჭიროა მასწავლებლის მიერ ახსნა სურათისა. სურათები მარტო ხელოვნების დარგიდან არ არის, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მაინც ესაჭიროება განმარტება. მასთან, სურვილი მქონდა, რომ ტექსტში მოთავსებული ყოფილიყო ისტორიულ-გეოგრაფიული რუკები, რომ მოსწავლეებს უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონოდათ მათ მიერ შეთვისებულ მასალაზე, მაგრამ ამ გამოცემაში ეს შეუძლებელი გახდა სხვადასხვა მიზეზთა გამო.

ძალიან კარგი იქნება, თუ მასწავლებლები გაგვაცნობენ თავის აზრს ამ სახელმძღვანელოს ღირსებასა და ნაკლულევანობაზე" [6. 2].

ბიზანტიის სულიერი კულტურისადმი დამოკიდებულება საკამათოდ მიგვაჩნია. გასათვალისწინებელია, რომ მან გავლენა მოახდინა საქართველოზე. ამ კონტექსტში საკითხის განხილვა, ცხადია, ძალიან კარგი იქნებოდა და მოსწავლეებს კიდევ უფრო მეტად დააინტერესებდა.

სახელმძღვანელოების ავტორები ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ევროპოცენტრისტული მიდგომა, რაც იმდროინდელი ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინააღმდეგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და მის ერთ-ერთ ღირსებად გვევლინება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, გამორიცხულად არ მიგვაჩნია. აქ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ უპირიანი იქნებოდა სახელმძღვანელოებში მონოლოთა სახელმწიფოს ისტორიის შეტანა. მათ ღრმა კვალი დატოვეს მსოფლიო, მათ შორის საქართველოს, ისტორიაში და ამის გვერდის ავლა მართებული არ უნდა ჩანდეს. ცხადია, მეტი ყურადღება შეიძლებოდა დათმობოდა სასანიდურ ირანს. ამ თემების განხილვა საქართველოს ისტორიასთან კონტექსტში სახელმძღვანელოებს მხოლოდ მომგებიან ქულებს შესძენდა. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება მხოლოდ ი. გველეხიანის სახელმძღვანელო.

სახელმძღვანელოებში დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან. ეს ძალიან კარგია და სახელმძღვანელოების ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს. შუა საუკუნეების ისტორიის კონტექსტში საქართველოს ჩართვის პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად 1918-1920 წლებში გამოსული სახელმძღვანელოები წარმოადგენს. ეს თემა შედარებით ვრცლადაა განხილული ი. გველეხიანის მიერ შედგენილ შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოში. იგი ეხება საქართველოს ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან და ჯეკაროსნებთან. [4. 27-34, 35-44, 94-111], ხოლო ვ. დონდუას და ალ. ნერეთელის სახელმძღვანელოებში ეს თემა უფრო ფრაგმენტ-

ტალურადაა ნარმოჩენილი და დასახვეწია. კიდევ ვიმეორებთ, საკითხის ასეთი დასმა თავისთავად უკვე მისასაღმებელია და სახელმძღვანელოების ღირსებას ნარმოადგენს.

სახელმძღვანელოებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პოლიტიკური ისტორიის თხრობას, ხოლო სოციალ-ეკონომიკური ისტორია და კულტურა, ვფიქრობთ, შედარებით მკრთალადაა გაშუქებული. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი სულაც არ ყოფილა და მასში, პირველ ყოვლისა, იმ პერიოდში გაბატონებული პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის გავლენა უნდა დავინახოთ. ამ მხრივ ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ვ. დონდუას სახელმძღვანელო, სადაც ეს თემატიკა შედარებით უფრო შენონილად არის წარმოდგენილი, რაც უწინარესად იმით შეიძლება იყოს გამოწვეული რომ ის „ისტორიის თხრობისას ეკონომიკური მოძღვრების საფუძველზე დგას“.

ვფიქრობთ, სასურველი იყო სახელმძღვანელოებს დართული ჰქონოდათ ქრონოლოგიური ტაბულა და რუკები. ქრონოლოგიური ტაბულა აქვს მხოლოდ ალ. წერეთლის წიგნს.

სახელმძღვანელოები არ წარმოადგენს ისტორიულ მოვლენების მშრალ თხრობას, ფაქტების უზარმაზარ გროვას. ეს საინტერესო არ იქნებოდა. სახელმძღვანელოებში დიდი ყურადღება ეთმობა ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას. ამგვარი მიდგომა მისასაღმები უნდა იყოს და ამ შემთხვევაში მოსწავლეები ვალდებული არიან არა მხოლოდ გაიზეპირონ თარიღები, არამედ შეეცადონ გაერკვენ მათ მნიშვნელობაში. ეს მოსწავლეს უვითარებს მეხსიერებას და აჩვენებს დამოუკიდებელ აზროვნებას.

სახელმძღვანელოებში რუსული ენის გავლენით დამკვიდრებულია ტერმინებმა შემდგომი პერიოდის ქართულ მედიევისტიკაში ფეხი ვერ მოიკიდა და იგი შეცლილი იქნა ქართული შესატყვისი ტერმინებით, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ამრიგად, ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს ასეთ სურათ ვიღებთ:

1. შუა საუკუნეების ისტორიის ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნა იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო მიღწევად მიგვაჩნია. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ფაქტობრივად ეს იყო შუა საუკუნეების ისტორიაში ქართული სახელმძღვანელოების შექმნის პირველი მცდელობა. ეს იყო გრანდიოზული მნიშვნელობის თვისებრივი სიახლე და ამის მიზმათება, მიჩქმალვა, როგორც ამას ჩადიოდა კომუნისტური პროპაგანდა, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და მკვეთრად გამოკვეთილად პოლიტიკური და იდეოლოგიური სარჩული უდევს საფუძვლად.

2. სახელმძღვანელოები ამკვიდრებდნენ შემოქმედებით ატმოსფეროს გაკვეთილზე, ეს, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატებოდა, რომ ხელს უწყობდნენ მოსწავლეების უფლების რეალიზაციას გააკეთონ საკუთარი არჩევანი. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ქართული სკოლა პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული.

3. რა თქმა უნდა, მისასაღმებელია, რომ სახელმძღვანელოების ავტორები ცდილობენ არ ჩამორჩნენ, ფეხი აუნყონ მათი თანამედროვე მედიევისტის განვითარებას და სახელმძღვანელოები ამ პრინციპზე ააგონ. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მათ მოიმარჯვეს სახელმძღვანელოს წერის ერთ-ერთი მოწინავე მეთოდი – ისტორიის სისტემატიური შესწავლა.

4. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ სახელმძღვანელოები მიესადაგებინათ ქართული სკოლის მოთხოვნებისათვის, ჩაერთოთ საქართველო მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. გაეთვალისწინებინათ საქართველოს დამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებთან. ეს ძალიან კარგია.

5. სახელმძღვანელოები არ წარმოადგენს ფაქტების უზარმაზარ გროვას და დიდი ყურადღება ექცევა ისტორიულ

მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას. ისტორია – თხრობა და ისტორია – ანალიზი ურთიერთზემოქმედებენ. ცხადია, ეს საინტერესოა. საკმარისი არაა ფაქტების გაზუთხვა, გაზეპირება. უნდა ერკვეოდე ისტორიულ მოვლენებში.

ს⁶. უდაოდ, მისასაღმებელია, რომ ავტორები ცდილობენ შეიმუშაონ სახელმძღვანელოს დანერის პრინციპები და მეთოდოკა. დაადგინონ ტერმინოლოგია.

ბუნებრივია, რომ როგორც პირველი მცდელობა, სახელმძღვანელოები უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მათი დახვეწა, სრულყოფა. თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები ეს პროცესი კიდევ გაგრძელდებოდა. სასწავლო-მეთოდური აპარატის არქონა დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1920 წლებში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება, და მასში პირველ ყოფლისა საქართველოში ისტორიის სწავლების მეთოდოკის გარიჟრაჟზე არსებული სიტუაციის ანარეკლი მოჩანს.

* * *

ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ სახელმძღვანელოების ავტორები შუა საუკუნეების ისტორიის მთელ რიგ აქტუალურ საკითხში საკმაოდ ჩახედულები ჩანან და საინტერესო მეცნიერულ აქცენტებს სვამენ, რომლებიც, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის მედიევისტოკის განვითარების საერთო დონეს. ეს სახელმძღვანელოებს გარკვეულ მეცნიერულ წონას ანიჭებს და ისტორიოგრაფიულ დატვირთვას იძენს. ამ შემთხვევაში, სწორედ, სახელმძღვანელოების ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა გვაინტერესებს (ჩვენ ისტორიის სწავლების მეთოდოკის სპეციალისტები არ ვართ და ამიტომ ამ

თემას მხოლოდ გაკვრით შეეცხეთ. ალბათ, ამ საკითხზე მეთოდისტებიც იტყვიან თავიანთ წონიან სიტყვას და აღნიშნულ თემას საგანგებოდ შეეხებოიან).

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ყურადღებას იპყრობს სახელმძღვანელოების მაღალი თეორიულ-მეთოდოლოგიური დონე. ამ თვალსაზრისით, უნიწარესად, საგულისხმოა ისტორიაში პიროვნების და ხალხის როლისადმი დამოკიდებულება. თემა არის აქტუალური, საინტერესო და ისტორიის ფილოსოფიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამ რთული საკითხის გადანყვეტის დროს ერთსულოვანება არასოდეს არსებობდა. მისასალმებელია, რომ სახელმძღვანელოებში ცდილობენ გამოძებნონ საშუალოდო ხაზი. ხაზგასმულია ისტორიაში გამოჩენილი პიროვნების მოღვენობის პოზიტიური მნიშვნელობა. დიდ პიროვნებას შესწევს უწარი კატალიზატორის როლი შეასრულოს და დააჩქაროს ისტორიული პროცესები. ამავე დროს არც ისტორიაში მასების როლია სრულიად უგულვებელყოფილი. მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული, რომ დიდი პიროვნება ხალხის მხარდაჭერის გარეშე ვერაფერს გახდებოდა. შესაძლოა, სახელმძღვანელებში შეინიშნება ცალკეული პიროვნებების გაიდიალება, მაგრამ მათი მოღვენობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ შემდგომში, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ სულ სხვა აქცენტები დასვა და სრულიად განსხვავებული გზით წავიდა, რომელსაც ალიქვამდა როგორც უკანასკნელ ქეშმარიტებას. ეს სწორი არ იყო. ისტორიის არ ხელენიფება ერთადერთი ქეშმარიტება. საბჭოთა ისტორიოგრაფია ჩიხში მოექცა და კრიზისმა ლეტალური ანუ სასიკვდილო, ხასიათი მიიღო.

დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1920 წლებში გამოსული სახელმძღვანელოების ერთ-ერთ ღირსებად საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდოზაცია მიგვაჩნია. სახელმძღვანელოებში მოცემულია დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორი-

ის სწორი პერიოდიზაცია. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი პლიუსია.

სახელმძღვანელოებში მოცემულია პერიოდიზაციის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რასაც, სხვათა შორის, ვერ ვიტყვით მომდევნო პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიაზე. აქ მან მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა შეიძინა და დაუპირისპირდა მსოფლიო ისტორიოგრაფიის მიღწევებს. პერიოდიზაციის მარქსისტული მოდელი საერთაშორისო საზოგადოებამ არ გაიზიარა და იზოლაციაში მოექცა.

დამოუკიდებელ საქართველოში გამოსულ სახელმძღვანელოებში შუა საუკუნეების ისტორია ქრონოლოგიურად მოიცავს IV-XV საუკუნეებსა. ძველ ისტორიას და შუა საუკუნეებს შორის მიჯნა IV-V საუკუნეები. კონკრეტულად: ქრისტიანობის ლეგალიზაცია, მილანის ედიქტი – 313 წელი; კონსტანტინეპოლის დაარსება – 330 წელი; 395 წელს რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფა; 476 წელს დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა. შუა საუკუნეების ისტორიას და ახალ დროს შორის ზღვარი გადის XV საუკუნის ბოლოზე და XVI საუკუნის დასაწყისზე. კონკრეტულად ეს არის: ბიზანტიის დაცემა 1453 წლის 29 მაისს; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები 1492 წელს და რენესანსი და რეფორმაციის დასაწყისი 1517 წლის 31 ოქტომბერს. ამ შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს კონკრეტული თარიღები. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა საინტერესოა და მასში, უწინარესად დამოუკიდებელ საქართველოში არსებულ ისტორიული მოვლენებისადმი მრავალფეროვანი მიდგომის, პლურალიზმის ლოგიკური შედეგი უნდა დავინახოთ. ამ შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობა კონცეპტუალურ ხასიათს კი არ იღებს, როგორც ეს არის პერიოდიზაციის მარქსისტულ მოდელთან მიმართებაში, არამედ უმთავრესად მიმდინარეობს კონკრეტული თარიღების ირგვლივ.

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება გამოვარკვევით სახელმძღვანელოებში მოცემული შუა საუკუნეების ისტორიის

შიდაპერიოდიზაცია. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. სახელმძღვანელოებში ამ თემაზე ყურადღება საგანგებოდ გამახვილებული არ ყოფილა, მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით გარკვეულ მინიშნებას ამ საკითხზე აუცილებლად შევნიშნავთ.

სახელმძღვანელოებში შუა საუკუნეების ისტორიის ორ პერიოდად დაყოფასთან გვაქვს საქმე: 1. ადრინდელი შუა საუკუნეები - V-XI საუკუნე და 2. განვითარებული ანუ კლასიკური შუა საუკუნეები - XI-XV საუკუნე. ასეთ დაყოფას ყავს თავისი მომხრეები, თუმცა მთლად დამაჯერებელი როდია. გვიანი შუა საუკუნეების ისტორიისადმი დამოკიდებულება ამ პერიოდიზაციის აქილევსის ქუსლად მიგვარჩნია. განვითარებული, კლასიკური, შუა საუკუნეების ხანის ქრონოლოგიური ჩარჩოები გაჭიმული ჩანს და გარკვეული კორექტივების შეტანას საჭიროებს. ამ ორ თვისებრივად განსხვავებულ ეპოქას შორის, სადემარკაციო ხაზი კიდევ უფრო გამჭვირვალე უნდა გახდეს. განვითარებულ, კლასიკურ და გვიანშუასაუკუნეებს შორის არსებობს პრინციპული ხასიათის, განსხვავება და ამაზე თვალის დახუჭვა მართებული არ იქნებოდა. ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს შუა საუკუნეების მეურნეობის აღმავლობას, პიკს, ხოლო მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს შუა საუკუნეების მეურნეობის კრიზისის პირველ სიმპტომებთან, თუმცა XIV-XV საუკუნეების კრიზისზე საუბარი, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი, XX საუკუნის მეორე ნახევარის ევროპულ ისტორიოგრაფიაში, გაზვიადებული უნდა იყოს და გამუქებულად წარმოაჩინოს რეალურ სურათს. შუა საუკუნეების დასასრულზე და ახალი დროის დასაწყისზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ადრეა.

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში შუა საუკუნეების ისტორიის შიდა პერიოდიზაცია ასეთი შეიძლება ყოფილიყო. სახელმძღვანელოების ავტორები შუა საუკუნეების ისტორიას რამდენიმე პერიოდად ყოფდნენ. შუა საუკუნეების ისტორიის შიგნით მნიშვნელოვან ნიშანსვეტად მათ ჯვაროსნული ლაშქრობები უნდა უქონოდათ წარმოდგენილი

[3. 64-71, 4. 94-111, 5. 103-108, 6. 76-88]. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ყველა სახელმძღვანელოში ჯვაროსნულ ლაშქრობებს დიდი ყურადღება ექცევა, საგანგებოდ გამოყოფენ და ხაზს უსვამან მის ისტორიულ მნიშვნელობას. ასეთი აქცენტირება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს და საინტერესოა. ის შეიძლება აღვიქვათ როგორც გარკვეული მინიშნება შუა საუკუნეების ისტორიის შიდა პერიოდიზაციაზე. ეს მართლაც სერიოზული თარიღია. ასეთი ხედვა უმთავრესად ორი ფაქტორით უნდა ყოფილიყო მოტივირებული. პოლიტიკური ისტორიის პრიმატობით და ჯვაროსნული ლაშქრობების მნიშვნელობის პიპერბოლიზაციით [3. 70-71. 4. 108-110. 5. 154, 6. 86-87]. ქალაქების აღმოცენების ისტორიული მნიშვნელობის დაკნინება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანსეტი შუა საუკუნეების ისტორიის შიგნით, სახელმძღვანელოების დამახასიათებელი თვისებაა. ერთგვარ გამოწვევის ნარმოადგენს ვ. დონდუას სახელმძღვანელო, სადაც ხაზგასმულია ქალაქების ნარმოშობის ისტორიული მნიშვნელობა.

ფაქტობრივად ეს არის შუა საუკუნეების ისტორიის პირველი პერიოდი, ადრეული შუა საუკუნეების ისტორია V-XI საუკუნეებში.

საინტერესოა შუა საუკუნეების ისტორიის პირველი პერიოდის შიგნით რა ქვეპერიოდებს გამოყოფენ სახელმძღვანელოებში. გამოთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ეს კონკრეტული მიჯნები შეიძლება ყოფილიყო ისლამი და არაბების გამოჩენა [3. 42-49, 4. 35-44, 5. 33-40, 6. 68-76] და კაროლინგების სახელმწიფო, რომელიც მოიაზრებოდა როგორც რომის იმპერიის შემკვიდრე [3. 58-64, 4. 93, 5. 97-101, 6. 42-58]. სხვათა შორის, სახელმძღვანელოებში ორივე ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა საგანგებოდაა ხაზგასმული და ცალკეა გამოყოფილი, რაც ადვილი შესაძლებელია, რომ შუა საუკუნეების ისტორიის ქვეპერიოდებად დაყოფაზე მინიშნება იყოს. აქ ხაზგასმულ

საზღვრები, უსათუოდ, მნიშვნელოვანია და მას ვერავინ უგულვებელყოფს.

სახელმძღვანელოებში შუა საუკუნეების ისტორიის მეორე პერიოდი მკაფიოადაა მონიშნული და ქრონოლოგიურად მოიცავს XI-XV საუკუნეების ისტორიას. სახელმძღვანელოებში შუა საუკუნეების ეს პერიოდი ორ ნაწილად შეიძლება იყოს გაყოფილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ შორის წყალგამყოფად ესახებოდათ XIV საუკუნის დასაწყისი. ამ თავლსაზრისით საინტერესო აქცენტებია ინგლისში პარლამენტის დაარსება – 1295 წელს; 1302 წლის 8 აპრილის საფრანგეთში გენერალური შტატების მოწვევა; ინგლისში და საფრანგეთში ნოღებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის ჩამოყალიბება; ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება გერმანიაში; იმპერატორების არჩევის დანყება; ფეოდალური დაქსაქსულობის დასასრული, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, გლეხთა პირადი განთავისუფლება; სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარება [3. 77-90, 4. 111-120, 5. 40-90, 6. 98-111]. ხომ არ არის ეს გარკვეული მინიშნება შუა საუკუნეების ისტორიის მეორე პერიოდის, XI-XV საუკუნეების ისტორიის ქვეპერიოდზე?

აქ გამოსარკვევია ერთი საინტერესო საკითხი, XIV-XV საუკუნეები, გვიანი შუა საუკუნეები, ცალკე დამოუკიდებელი პერიოდი თუ ქვეპერიოდი. თუ მასში ცალკე პერიოდს დავინახავთ მაშინ შუა საუკუნეების ისტორიის სამ პერიოდად დაყოფასთან გვექნება საქმე: 1. ადრეული შუა საუკუნეები V-XI საუკუნეები; 2. განვითარებული შუა საუკუნეების ისტორია. XII-XIII საუკუნეები; 3. გვიანი შუა საუკუნეების ისტორია – XIV-XV საუკუნეები. თუ ეს ამ ეპოქის ქვეპერიოდი მაშინ ორ პერიოდად დაყოფასთან: ადრეული შუა საუკუნეების ისტორია – V-XI საუკუნეები და განვითარებული შუა საუკუნეები – XI-XV საუკუნეები. თავის მხრივ, ეს ორი პერიოდი კიდევ იყოფა ქვეპერიოდებად.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სახელმძღვანელოებში გვიანი შუა საუკუნეები – XIV-XV საუკუნეები – აღიქმება შუა

საუკუნეების ისტორიის მეორე პერიოდის – XI-XV საუკუნეები – შიგნით მნიშვნელოვან ნიშანსვეტად და არა ცალკე სუვერენულ ეპოქად. ფაქტობრივად XIV-XV საუკუნეები მოიაზრება როგორც შუა საუკუნეების ისტორიის ქვეპერიოდი და, არა როგორც მესამე პერიოდი. განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები მკვეთრად უნდა ყოფილიყო გამოიჯნული. უფრო უპრიანი იქნებოდა სხებელმძღვანელოებში მისი საგანგებო მონაკვეთად გამოყოფა და სამ ნაწილად დაყოფა, მაგრამ ეს ასე არ ხდება. გვიან შუა საუკუნეების ეპოქამ, XIV-XV საუკუნეებმა, რატომღაც დაკარგა სუვენერობა, დამოუკიდებლობა. ამგვარი მიდგომა ნებისით თუ უნებლიეთ აკნინებს გვიანი შუა საუკუნეების ისტორიულ მნიშვნელობას. ეს კი სწორი არ უნდა იყოს და აღნიშნულ ეპოქაზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიქმნის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ XIV-XV უნდა განვიხილოთ როგორც შუა საუკუნეების ისტორიის ცალკე, დამოუკიდებელი, პერიოდი და არა ქვეპერიოდი. ეს არის გვიანი შუა საუკუნეების ეპოქა. ის თვისებრივად განსხვავდება თავისი უშუალო წინამორბედის, განვითარებული შუა საუკუნეებისაგან და ეს ხაზგასმით უნდა იყოს აღნიშნული. გვიანი შუა საუკუნეები იმდენად მკვეთრად განსხვავდება თავისი წინა ეპოქისგან, რომ ბევრი ისტორიკოსი საზღვარგარეთ (ა. პირენი, მ. ბლოკი, ფ. ბროდელი, ჟ. ლე გოფი, ფ. მორო) სწორედ XIV საუკუნეს მიიჩნევენ ახალი ისტორიის ათვლის წერტილად. ეს მოსაზრება არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას და საკამათოა, რადგან XIV საუკუნიდან ახალი ისტორიის დანყება ნაადრევად მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში მოვლენების, პროცესების, ფორსირებას ხომ არ აქვს ადგილი?

სახელმძღვანელოებში ყურადღებას იპყრობს დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორიის პერიოდიზაციისადმი სწორი მიდგომა. ისინი ცდილობენ დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორიის პერიოდიზაცია მიუსადაგონ მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციას, ეს დასავლეთ ევროპის ცალკეულ

ქვეყნების ისტორიის პერიოდიზაციის ერთ-ერთ მისაღებ მოდელებს წარმოადგენს.

სახელმძღვანელოებში ინგლისის შუა საუკუნეების ისტორიას და ახალ პერიოდს შორის მიჯნად პირობით აღებულია XV საუკუნის მიწურული – ალისფერი და თეთრი ვარდების ომის გასრულება, ტოუდორთა დინასტიის მმართველობის დასაწყისი, პენრი VII-ის (1485-1509) გამეფება.

შუა საუკუნეების საფრანგეთის ისტორია პირობით სრულდება ლუი XI გარდაცვალებით 1483 წლის 30 აგვისტოს და იტალიური ომების დაწყებით 1494 წელს.

გერმანიის შუა საუკუნეების ისტორიას და ახალ დროს შორის ნიშანსვეტად, ბუნებრივია, აღებულია რეფორმაციის დასაწყისი.

შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის ზღვარი ყველაზე უფრო მკაფიოდ არის გავლებული ესპანეთის ისტორიაში. ამ ორ დიდ ეპოქას შორის საზღვარი გადის XV საუკუნის მიწურულზე, კონკრეტულად კი – 1492 წლის 2 იანვარს გრანადის გათავისუფლება და 1492 წელს კოლუმბის პირველი ექსპედიცია.

სახელმძღვანელოებში მკაფიოდ არაა ხაზგასმული იტალიის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის ზღვარი, რაც ნაწილობრივ მაინც იმით შეიძლება აიხსნას, რომ იტალიის ისტორია სახელმძღვანელოებში საკმაოდ ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. სავარაუდებელია, რომ ასეთი წყალგამყოფი პირობით იქნებოდა რენესანსი.

* * *

XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ მედიევისტიკაში აქტიურად ფლერდა და ისტორიკოსთა შორის სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას ინვევდა საკითხი თუ ვინ მისცა საწყისი შუა

საუკუნეებს, ძველმა გერმანელებმა თუ რომაელებმა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე ისტორიკოსები ორ მკვეთრად დაპირისპირებულ ბანაკად, გერმანისტებად და რომანისტებად იყვნენ დაყოფილები. სახელმძღვანელოების ავტორები გერმანულ-რომაული სინთეზის თეორიისაკენ უფრო იხრებოდნენ [4. 74, 5. 93], რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში. ამგვარი მიდგომა სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და კიდევ უფრო გვაახლოვებს რეალობასთან, ვიდრე XIX საუკუნეში გავრცელებული გერმანისტული და რომანისტული თეორიები. ეს სახელმძღვანელოების კიდევ ერთი ღირსებაა.

აუცილებლად უნდა შევჩერდეთ სახელმძღვანელოებში შუა საუკუნეების სოციალ-ეკონომიკურ ისტორიის განხილვაზე. ეს არის სერიოზული თემა, რომლის გაშუქება ბევრად განსაზღვრავს სახელმძღვანელოების ღირებულებას, მათ მეცნიერულ ნონადობას.

სახელმძღვანელოებში შუა საუკუნეების სოციალ-ეკონომიკური ისტორია უყურადღებოდ არ დარჩენილა და გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი. ეს ძალიან კარგია, თუმცა სახელმძღვანელოებში ამ თემატიკისადმი მიდგომის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. აქ, უწინარესად, ვგულისხმობთ იმას, რომ მისი გადმოცემა უპირატესად ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, რაც იმით გამოიხატება, რომ, თუ შუა საუკუნეების გარიჟრაჟზე სოციალ-ეკონომიკურ გარდაქმნებს დიდი ყურადღება ექცევა და ეს სავესებით სწორია, შემდგომი ეპოქის სოციალ-ეკონომიკური ისტორიის გაშუქება, ჩვენი აზრით, შედარებით მოიკოჭლებს და ვაცილებით სუსტად, მკრთალადაა განხილული [3; 4; 5; 6]. ვფიქრობთ, მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა გლახთა პირად განთავისუფლებას, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას. ყველაფერ ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და არღვევდა შუა საუკუნეების მეურნეობას. მნიშვნელოვანწილად, ალბათ,

ამით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოების ბოლოს მკვეთრად იკვეთება პოლიტიკური ისტორიის დომინანტი. ასეთი სურათი ცალმხრივია და ამ ეპოქის ისტორიაზე ამომწურავ წარმოდგენას როდი გვიქმნის [3. 90-97, 4. 94-111, 5. 130-141, 6. 99-126].

აგრარულ საკითხში აქცენტების მეცნიერული დასმა სახელმძღვანელოების ერთ-ერთ მთავარ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ. აქ, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმას, რომ ისინი წინ წამოწევენ არა სენიორსა და გლეხს შორის ურთიერთობის ნივთიერ, მატერიალურ მხარეს, როგორც ამას ხაზს უსვამდა ფრ. ენგელსი და მის კვლადაკვალ საბჭოთა ისტორიოგრაფია [8. 442-494] არამედ პირად კავშირებს. შესაძლოა, ეს მსჯელობა, მიამიტური, პრიმიტიული იყოს, მაგრამ ეს როდია მთავარი. მასში დასმული აქცენტები საინტერესოა და სწორია. ფეოდალს პირველ რიგში აინტერესებდა არა იმდენად მინა, როგორც სამფლობელო, არამედ ხალხი, რომელიც ამ მიწაზე იჯდა და სხვადასხვა ფორმით იმყოფებოდა სენიორთან პირად დამოკიდებულებაში. გერმანელი ისტიორიკოსის ჰალბანა - ბლუმენშტოკის თქმით „მინა კვებავს ადამიანს, მაგრამ არ ამდიდრებს მას“. ჯერ კიდევ მარკ ბლოკი გვაფრთხილებდა, რომ სწორი არ იქნება სენიორსა და მის ხელქვეითს შორის ურთიერთობაში მხოლოდ ეკონომიკური მხარე დავინახოთ, რაც არ უნდა დიდი იყოს მისი მნიშვნელობა. „არა ერთი ფრანკი ბარონი გვიპასუხებდა ზუსტად ისე, როგორც შოტლანდიელი მთიელი აზნაური, როდესაც კითხეს მას, თუ რა შემოსავალს აძლევდა მინა - ორმოცდაათი კაცი“ [9. 131].

ყურადღებას იპყრობს პარალელი ევროპულ და ქართულ ფეოდალიზმს შორის. ამგვარი მიდგომა საინტერესოა და შინაარსობრივად კიდევ უფრო ამდიდრებს სახელმძღვანელოებს, მასში მეცნიერული კვლევის ელემენტი შეაქვს. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოებში წინ წამოწევენ არა მარტო მათ შორის არსებულ მსგავსებას, არამედ განსხვავებასაც. ეს მისასაღმებელი და ძალიან კარგია. ამ თვალსაზრისით საგულისხმო

ჩანს ალ. წერეთელის მსჯელობა: „საქართველოში არსებობდა შეუვალობა (იმუნიტეტი), მაგრამ იგი არასოდეს სახელმწიფო ცხოვრების საზოგადო მოვლენა არ ყოფილა, არამედ მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა. ამასთანავე იგი თითქმის მხოლოდ სახელმწიფო გადასახადებს ეხებოდა და სასამართლოს შეუვალობა საქართველოში არასოდეს არ ყოფილა. მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის დროს ეს მოვლენა თითქმის საყოველთაო იყო“ [3. 52-53]. ამ თემას ეხება და საგანგებოდ გამოყოფს ვ. დონდუა თავის სახელმძღვანელოში საშუალო საუკუნეების ისტორია. ამ მხრივ საყურადღებოა პარაგრაფი „პატრონჟიმობა საქართველოში“ [5. 91-93]. შესაძლოა, ეს მსჯელობა დღეს უკვე მოძველებული, მიაბიტური, პრიმიტიულია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მისასალმებელია, რომ მათ დასვეს ეს საკითხი და შეძლებისდაგვარად სცადეს მისი გადამყვება. ფაქტობრივად ეს იყო ამ რთულ თემასთან შეჭიდების პირველი თუ არა ერთ-ერთი პირველი მცდელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ყველაფერი ეს იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ სახელმძღვანელოს ავტორები იოლი გზით სიარულს არ აპირებდნენ და სიძნელეებს არ უფრთხობდნენ. ეს სახელმძღვანელოებს გარკვეულ მეცნიერულ წონას ქენს.

სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ბევრს მოიგებდა თუ ხაზგასმული იქნებოდა ბიზანტიის იმპერიის დაცემის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისთვის. ამ კონტექსტში საკითხის წარმოჩენა შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოებს და, რაც მთავარია, მონაფეებისათვის მისი შესწავლა მიმზიდველი იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ ხდება, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის მინუსს წარმოადგენს [3. 94-97, 4. 170-180, 5. 139-141].

სახელმძღვანელოებში შეიმჩნევა ქალაქების გენეზისისადმი თავისებური მიდგომა. ქალაქების წარმოშობას დასავლეთ ევროპის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ღრმა კვალი დაამჩნია შუა საუკუნეების ისტორიას [10]. ჯვაროსნული

ლაშქრობების შედეგების გაიდიალება და ქალაქების წარმოშობისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულება სუვერენულ საქართველოში 1918-1920 წლებში გამოცემული შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია [3. 70-71, 4. 90-91, 5. 154, 6. 86-87]. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მიდგომა გვხვდება შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში [11. 111-153]. აქ, ბუნებრივია, ისმის კითხვა ხომ არ ვაკნინებთ ქალაქების წარმოშობის ისტორიულ მნიშვნელობას? ჩვენი აზრით, ამგვარი ხედვა შემთხვევითი არ შეიძლება ყოფილიყო და უწინარესად მრეწველობის, ხელოსნობის და ალებ-მიცემობისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია.

სახელმძღვანელოების სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას. აქ, პირველ რიგში, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ სახელმძღვანელოებში ზოგიერთი თემის განხილვისათვის მიჩენილი ადგილი ყოველთვის დამაჯერებელი როდია. სიტყვატუნნი რომ არ ვიყოთ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

ქრისტიანობის გავრცელების, ხალხთა დიდი გადასახლების, დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის განხილვის დროს, სლავების ისტორიის ჩართვა, როგორც ეს არის ი. გველესიანის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში არადაამაჯერებელი უნდა ჩანდეს [4. 3-13]. უპირანი იქნებოდა თუ სლავების ისტორიას ცალკე მონაკვეთად გამოვყოფდით და განვიხილავდით, როგორც ეს არის ალ. წერეთელის და ვ. დონდუას სახელმძღვანელოებში [3. 24-30, 5. 16-40].

ზოგიერთ სახელმძღვანელოში სრულიად იგნორირებულია ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების, პირველ რიგში კი ინგლისის და სკანდინავიის ხალხების, ნორმანების ისტორია [3. 6]. ნორმანებმა ღრმა კვალი დატოვეს ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ისტორიაში და ეს სახელმძღვანელოში ხაზგასმით უნდა თქმულიყო. აღსანიშნავია, რომ ყველა სახელმძღვანელო-

ში ამგვარი მდგომარეობა როდია. ამ საკითხზე მოსწავლეები მცირე ინფორმაციას მოიძიებენ ი. გველესიანის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში და ვ. დონდუას ნიგნში [4. 74-90, 5. 49-90].

საკამათოდ მიგვაჩნია ალ. წერეთელის სახელმძღვანელოში იან ჰუსის მოძღვრებისათვის მიჩენილი ადგილი. აქ ის მოთავსებულია გერმანიის ისტორიაში, შვეიცარიის კაეშირთან [3. 88-90]. ეს ამ თემაზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიქმნის. საინტერესოა, რომ დანარჩენ სახელმძღვანელოებში სულ სხვაგვარი მიდგომა გვხვდება და ის განიხილება მონაკვეთში კათოლიკური ეკლესიის და პაპობის ჩამოქვეითება [4. 180-180, 5. 130-131]. ეს უფრო რეალურია.

გარკვეულ უკმარობის გრძნობას იწვევს სახელმძღვანელოებში ცალკეული ქვეყნის ისტორიის გაშუქება. სახელმძღვანელოებში თითქოსდა ჩაიკარგა იტალიის ისტორია და იგი რალაცნაირად პაპობის ისტორიაში ჩაინთქა. ეს არ იყო ყველაზე კარგი გამოსავალი. შესაძლოა, ჯობდა პაპობის და იტალიის ისტორიის გაერთიანება, როგორც ეს შუა საუკუნეების ისტორიის უახლეს ქართულ სახელმძღვანელოშია [12]. გაკვრით არის განხილული ეს თემა მხოლოდ ალ. წერეთელის სახელმძღვანელოში. იგი ეხება მხოლოდ იტალიის ქალაქებს ვენეციას და ფლორენციას [3. 89], რაც, ცხადია, საკმარისი როდია.

სახელმძღვანელოებში რუსეთის ისტორიის გადმოცემა ფრაგმენტულ ხასიათის ატარებს და უმთავრესად საკვანძო საკითხების გაშუქებაზე ახდენს ყურადღების კონცენტრაციას, რაც მონაწიეებს შუა საუკუნეების რუსეთის ისტორიაზე ამომწურავ წარმოდგენას როდი უქმნის. სახელმძღვანელოებში ხაზგასმულია, წინ წამოწეულია, რუსეთის ისტორიაში ნორმანების მნიშვნელობა და, ეტყობა, ისინი იზიარებდნენ ნორმანისტულ თეორიას, [4. 74-93, 5. 88-90], რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი XX საუკუნის დასაწყისის რუსულ და ევროპულ ისტორიულ ლიტერატურაში და რომელსაც შემდგომი პერიოდის საბჭოთა

ისტორიოგრაფიამ რატომღაც ჩამოართვა არსებობის უფლება. ეს კი მოუღებელია.

უდაოდ, მისასაღმებელი უნდა იყოს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში დიდ ყურადღებას უთმობდნენ არა მარტო მსოფლიო ისტორიის ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნას, არამედ ცდილობდნენ სახელმძღვანელოების დანერას დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორიაში. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს გრ. ნათაძის წიგნი „ინგლისის მოკლე ისტორია“ [13]. სახელმძღვანელოში მოთხრობილია ინგლისის ძველი, შუა საუკუნეების და ახალი ისტორია. ამიტომ დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მოსაზრება, როდესაც გრ. ნათაძის სახელმძღვანელოს ახალ ისტორიას მიაკუთვნებს [14. 374]. თავის კულტურტრეგერულ მისიას, უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძემ ურიგოდ როდი გაართვა თავი. რა თქმა უნდა, დღეს ეს სახელმძღვანელო უკვე მოძველებულია, ღიმილს იწვევს, მარტივია და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. მის მნიშვნელობას ძირითადად ის ფაქტორი განსაზღვრავს, რომ ქართველ მკითხველს, უწინარესად კი მონაწიეებს, ინგლისის ისტორიაზე ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა.

სახელმძღვანელოში საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა ინგლისის სოციალ-ეკონომიკურ ყოფას, ხოლო პოლიტიკური ისტორია, კულტურა გაცილებით მკრთალად, სუსტადაა გაშუქებული. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობა იყო. ინგლისის ისტორიის ასეთი ხედვა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და უმთავრესად იმით იყო განპირობებული, რომ გრ. ნათაძე ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრე იყო და „ეკონომიკური მატერიალიზმისაკენ“ იხრებოდა. ინგლისის ისტორიის ასეთი გაშუქება ცალმხრივი და მოუღებელია. ის ინგლისის ისტორიაზე ამომწურავ წარმოდგენას ვერ იძლევა [2. 45-49].

ამრიგად, პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გავუსვით იმას, რომ 1918-1920 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში სწორი კურსი უნდა პქონოდათ შემუშავებული. უწინარესად საჭირო იყო შუა საუკუნეების ისტორიის კვალიფიცირებული ქართული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა. ამის გარეშე სკოლაში ამ საგნის ნორმალურად სწავლება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ამ რთულ მისიას ქართულმა სკოლამ უნდა ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. დროის ძალზე მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, სულ რაღაც ორ წელიწადნახევარში, დამოუკიდებელ საქართველოში გამოვიდა შუა საუკუნეების ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელო. ეს ძალიან კარგია. რა თქმა უნდა, იყო პრობლემებიც, უმთავრესად ორგანიზაციული ხასიათისა. ეს მოგვარებადი გახლდათ. მისასალმებელია, რომ ისინი მიღწეული შედეგებით არ შემოიფარგლებოდნენ და დღენიდაც ზრუნავდნენ ახალი სახელმძღვანელოების შემდგომ გაუმჯობესებაზე, რომელსაც მხოლოდ პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა დაუსვა წერტილი. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 1918-1920 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში გამოსულ შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებს ღირსებები გაცილებით მეტი პქონდა, ვიდრე ნაკლი. სახელმძღვანელოებს მკვეთრად გამოკვეთილად პროგრესული ელფერი დაკრავს. ეს უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ ქართული სასკოლო სახელმძღვანელოები ძირითადად ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის, საუკეთესო მიღწევებს ითვალისწინებდა, აქცენტებს აკეთებდა ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე და პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. ცარიზმის დროს

არსებული სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლებიც უმთავრესად მონარქისტულ-კლერიკალური პოზიციებიდან იყო დაწერილი, ეს იყო სეროიზული წინგადადგმული ნაბიჯი. ფაქტობრივად ეს არის ქართულ სინამდვილეში შუა საუკუნეების ისტორიის ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნის პირველი სეროიზული მცდელობა. მისი ღირებულება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და ამის წაყრუება, მიჩქმალვა, უგულვებელყოფა, როგორც ამას ჩადიოდა საბჭოთა, კომუნისტური იდეოლოგია, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორი ედო სარჩულად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოებში მედიევისტის მთელ რიგ საკვანძო საკითხებში მეცნიერულ აქცენტებს სვამენ, რომელიც, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის მედიევისტის განვითარების საერთო დონეს.

ეს სახელმძღვანელოები, როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა, იდეალური არ გახლავთ და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. რა თქმა უნდა, დღევანდელი გადასახედიდან ეს სახელმძღვანელოები ღიმილს იწვევს, მარტივია და ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპს წარმოადგენს. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველ მკითხველს, პირველ რიგში კი მოსწავლეებს, შუა საუკუნეების ისტორიაზე ზოგად წარმოდგენას უქმნიდა. ამ სახელმძღვანელოებმა თავისი წვლილი შეიტანე შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში და ფაქტობრივად ქართული მედიევისტის პირველი ფურცელი გადაშალეს, რომლის მნიშვნელობა მის შემეცნებით დატვირთვაში მდგომარეობდა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- 1 უნა დარკი, 1889; იან პუსი, 1889.
- 2 მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999; მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006; მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
- 3 ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწ., 2. საშუალო საუკუნეები, თბ., 1920.
- 4 ი. გველესიანი, საშუალო საუკუნეების ისტორია, თბ., 1920.
- 5 ვ. დონდუა, საშუალო საუკუნეთა ისტორია, ქუთაისი, 1920.
- 6 ა. ვულფიუსი, საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო, ქუთაისი, 1919.
- 7 ქ. წერეთელი, სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში (1804-1917 წწ.), თბ., 1978.
8. Энгель Фр., К истории древних германцев – Маркс К. и Энгельс Фр., соч., т 19. М., 1962; Неусыхин А., Возникновение зависимого крестьянства как класса раннефеодального общества в Западной Европе VI-VIII вв., М., 1956; აღსანიშნავია, რომ სულ სხვა გზით მიდიოდა ის 20-იანი წლებში. Неусыхин А., Общественный строй древних германцев, М., 1929. ცხადია, მისი ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი შემთხვევითი არ ყოფილა და მძლავრი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზენოლის ლოგიკური შედეგია. Мильская Т., Александр Иосифович Неусыхин – тернистый путь ученого – "Новая и новеишая история" № 3. 1993. სულ სხვა გზით წავიდა და უფრო ახლოს მივიდა რეალობასთან პროფ. არონ გურევიჩი. იხ. Гуревич А., Проблемы генезиса феодализма, М., 1970. ორთოდოქსმა მარქსისტებმა მას უმალ დაატყვებეს თავს კრიტიკის ქარცეცხლი, რომელიც უპირატესად კონიუნქტურულ ხასიათს ატარებდა და დღეს

- უკვე ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს.
- 9 Блок М., Характерные черты французской аграрной истории, М., 1957.
 - 10 Пирен А., Средневековые города Бельгии, СПб., 2001.
 - 11 ალ. ნამორაძე, დასავლეთ ევროპის ისტორია, ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება, თბ., 1933.
 - 12 შუა საუკუნეების ისტორია, ნაწილი 1. თბ., 2004.
 - 13 გრ. ნათაძე, ინგლისის მოკლე ისტორია, თბ., 1919.
 - 14 ალ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77. თბ., 1959.

თავი III

ვარლამ დონდუა როგორც მედიკოსი

პროფესორი ვარლამ დონდუა (1895-1969) XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში, უდაოდ, ერთ-ერთი კოლორიტული და თვალსაჩინო ფიგურა იყო. მან წარუშლელი კვალი დატოვა თავისი პერიოდის ქართულ ისტორიულ აზროვნებაში. ის იყო უაღრესად ერუდირებული, ფართო დიაპაზონის მეცნიერი. მისი ინტერესების სფერო მოიცავდა კავკასიათმცოდნეობის, ბიზანტიოლოგიის და ორიენტალისტიკის აქტუალურ პრობლემებს [1].

უნდა ითქვას, რომ პროფ. ვარლამ დონდუას დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მხოლოდ ამით არ ამოინურებოდა. აქ პირველ ყოვლისა, ცხადია, მხედველობაში გვაქვს მისი დაინტერესება დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის თემატიკით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მის მიერ 1920 წელს გამოქვეყნებული „საშუალო საუკუნეთა ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელო [2]. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით შეგვევსო ეს ხარვეზი და აღნიშნული თემა საგანგებოდ განგვეხილა.

1918-1921 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში ცაიტი-ნოტიში მოუხდათ მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა. ის რისი გაკეთებაც ამ მოკლე დროში მოასწრეს დიდ პატივს დებს იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებას.

ამის ნაყრუება, მიზნულობა, უგულვებელყოფა, რასაც ფართოდ ნერგავდა საბჭოთა, კომუნისტური, იდეოლოგია, სრულიად უმართებულა და არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. პოლიტიკური კონიუნქტურის მკვეთრმა ცვლილებამ ლოგიკურად გამოიწვია ამ სახელმძღვანელოების რეანიმაცია [3; 4; 5].

როგორც მისი ავტობიოგრაფიიდან ჩანს, ვარლამ დონდუა 1916-1924 წლებში მუშაობდა განათლების სისტემაში, ასწავლიდა ისტორიას საშუალო სკოლაში [1. 7]. შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს გამოქვეყნება მისი პედაგოგიური საქმიანობის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება. ფაქტობრივად ეს იყო შუა საუკუნეების ისტორიაში ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის ერთ-ერთი პირველი სერიოზული მცდელობა, რაც იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო მიღწევაა. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურებაა.

ვარლამ დონდუას სახით საქმე გვაქვს მაღალკვალიფიცირებულ პედაგოგთან, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა აღნიშნული ეპოქის დასავლეთ ევროპის ისტორიას და ამ საგანს მოსწავლეებს მეტად მაღალ დონეზე შეასწავლიდა. აქედან კარგად ჩანს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში განათლების, სწავლების, საქმე ჯეროვან დონეზე იყო დაყენებული.

ვარლამ დონდუა სახელმძღვანელოს სატიტულო ფურცელზე მოუთითებს, რომ ის არის ამ სახელმძღვანელოს შემდგენელი. ასეთი განცხადება მეტად მოკრძალებული ჩანს და ვ. დონდუას წვლილზე მთლად ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიქმნის. აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ის გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალო შემდგენელი. აღსანიშნავია, რომ ვ. დონდუა თავის ავტობიოგრაფიაში დასძენს „1920 წელს ქუთაისში დავებულ საკუთარი სახელმძღვანელო შუა საუკუნეების ისტორიაში“ [1. 7]. ვფიქრობთ, ასე უფრო ზუსტია.

რა თქმა უნდა, დღევანდელი გადასახედიდან ეს სახელმძღვანელო ღიმილს იწვევს, მარტივია და ისტორიოგრაფიის გან-

ვლილ ეტაპს წარმოადგენს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს იყო შუა საუკუნეების ისტორიაში ქართული ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნის პირველი სერიოზული მცდელობა. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველ მკითხველს, პირველ რიგში კი მოსწავლეებს, შუა საუკუნეების ისტორიაზე ზოგად წარმოადგენას შეუქმნიდა.

* * *

შუა საუკუნეების ისტორიის ახალი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა, ცხადია, ადვილი საქმე არ იყო და ამ გზაზე მრავალი სერიოზული დაბრკოლება არსებობდა. მათი დაძლევის გარეშე ნორმალური, კარგი, სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა პრაქტიკულად წარმოუდგენელი იქნებოდა. ბუნებრივია, ვ. დონდუა თავის სახელმძღვანელოში შეეცადა ამ სირთულეების გადალახვას. აღნიშნულ თემაზე თავისი მოსაზრებები მან ჩამოაყალიბა სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში, რომელიც დაწერილია 1919 წლის 3 სექტემბერს:

„1. შესავალში ჩვენ პირველად რომის იმპერიის წიაღიდან ბიზანტიის იმპერიის წარმოშობის ისტორია გავარკვეით, რათა მოსწავლე ხმარებულ ტერმინოლოგიას არ დაეზნია და მას ძველი რომის ისტორიის დასრულების შემდეგ საშუალო საუკუნეებში კვლავ აღმოსავლეთ რომის იმპერიის არსებობა საოცრად არ აქონოდა.

2. მეორეს მხრით, შესავალში მოსწავლეს საშუალება მიეცით – არსებული პროგრამით მსოფლიო ისტორიის პირველ ნიგნში შესასწავლის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების წარმოშობა-განვითარების პრინციპებისათვის კვლავ თვალი გადაეკრა, მიზნის მისაღწევად ჩვენ უდიდესი ხალხის, გერმანელების ძველი ისტორია მოვიმარჯვეთ და მისი თანდა-

თანობითი განვითარების პრინციპები შედარებით სრულად წარმოვადგინეთ.

3. ამ სახელმძღვანელოში შესულის ყოველი ხალხის ისტორიის შესწავლისას შეძლებისდაგვარად მთლიანობის დაცვას შევეცადეთ. ამისდამიხედვით ქრონოლოგიური წყობის მტკიცედ დაცვისა და სხვადასხვა კუთხეებში პარარელურად მიმდინარე მოვლენების მონაფის გონების თვალთა წინაშე პარალელურადვე გატარებისათვის გზაგზა ერთი შესასწავლი კუთხიდან წამდაუნუმ სხვა კუთხეებში შევლა-გამოვლას მოვერიდეთ. თუმცა, მეორე მხრით, მიზანრამამი წიალსელაც არ უარგვიყვია, მაგრამ ამისთანა შემთხვევაშიც იმას ვცდილობდით, რომ ალბული კუთხის ისტორია საგრძნობლად არ დაქუცმატებულიყო და მას მოსწავლის ცნობიერებაში მაინცდამაინც მთლიანი შთაბეჭდილება დაეტოვებინა. ამგვარი მთლიანობის პრინციპების დაცვით ჩვენ გვენადა იმისთვის მიგველნია, რომ მოსწავლეს ყოველს შესასწავლ კუთხეზე ცალკე მთლიანი და გარკვეული წარმოდგენა ჰქონოდა. და მისი მეხსიერება მხოლოდლა ფაქტების უაღრესად არეული გროვით არ დაგვემძიმებინა, ხოლო მეორე მხრით, მასწავლებელსაც სახელმძღვანელოს ხმარების დროს მისი კუთვნილი ინიციატივა არ წართმეოდა: ყოველს იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც იგი პარალელურად მიმდინარე ფაქტების მონაფეთა წინაშე პარალელურადვე გატარების საჭიროებას იგრძნობდა, მას სახელმძღვანელოში თავისი ხელიც ჩაერია და მასში მოქცეული მასალით მდგომარეობის შესაბამისად ესარგებლა.

4. შესასწავლი ქვეყნების რიგრიგად დალაგების დროს ისტორიულ მოვლენათა თანამიდევენების პრინციპით ვხელმძღვანელობდით; ჩვენ სისტემას საფუძვლად სწორედ ეგ პრინციპი დაფუძვეით. ამისდამიხედვით ქვეყნიდან ქვეყანასა და თავიდან თავზე გადასვლისას თხრობის უეცრად მოკვეთას ვერიდებოდით და, წინააღმდეგ, მომენტიდან მომენტზე ბუნებრივად და დროიანად გადასვლას ვცდილობდით.

მოვლენათა თანამიმდევნების პრინციპის დაცვისათვის მაგ. დასავლეთის იმპერიის დაცემის შემდგომ დასავლეთი ევროპის დროებითი მიტოვება და პირდაპირ ბიზანტიისაზე გადასვლა ვაშკობინეთ; მართლაც, ერთ დროს ანტიური იმპერიის შემადგენლისა და საერთოდ ანტიური ქვეყნის ნიალიდან გამოსული ბიძანტიის ისტორია საზოგადოდ ძველი ისტორიის უფრო ბუნებრივი გაგრძელებაა, და ამიტომაც ჩვენ მიზანრებად ვსცანით, რათა მოსწავლეს ანტიური კულტურის შესწავლის შემდეგ საშუალო საუკუნეთა ისტორია ანტიური კულტურის ნიალიდანვე წარმოშობილი ბიძანტიური კულტურის გაცნობით დაეწყოს; თუ, წინააღმდეგ, მოსწავლეს საშუალო საუკუნეთა შემეცნებას მაგ. დასავლეთი ევროპის შესწავლით დაეწიებინებდით, მაშინ მას ანტიური კულტურისა და მისი გამგრძელებლების ბიძანტიური კულტურის ისტორიის ძაფი გაუწყდებოდა. ანტიური კულტურიდან ერთბაშად დასავლურს თავისებურ კულტურაზე გადასვლა და აქედან კვლავ ანტიურის ერთხორცს ბიძანტიურ კულტურაზე გადმოსვლა დასჭირდებოდა. ეგეც რომ არა, საერთოდ რომის იმპერიის დაცემას შემდეგ კაცობრიობის ტონის მიმცემი ისევ დაისევ ბიძანტია იყო. ქრონოლოგიური წესით პირველად ბიძანტიური კულტურის ხანა იდგა, და მაშასადამე, კვლავ მოვლენათა თანამიმდევნებულად დალაგებისათვის ბიძანტიის პირველად შესწავლა იყო საჭირო.

5. ამავე პრინციპით ჩვენ ბიძანტიის ისტორიის შესწავლის შემდეგ პირდაპირ ისლამის ისტორიის ხელყოფა ვაშკობინეთ: ბიძანტიის ისტორიის განვითარებამ თავის დასასრულში თვალწინ თურქების ხელში კვლავ უაღრესად განვითარებული ისლამი წარმოვიდგინა, როლმელსაც უკვე ბიძანტიისა და საერთოდ ევროპისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიელო. ასე რომ საჭირო იყო ბიძანტიის ისტორიის ახლა მაინც განწყვეტა და შემდეგ ისტორიულ მოვლენათა განვითარებამდე ამ მოვლენათა მიმართულების მიმცემი ისლამზე პირდაპირ გადასვლა. მიზნის მისაღწევად კი, რათა ბიძანტიის და ისლამს შუა ჩვენი ყურა-

დღეობა რამე ახალს დიდ მოვლენაზე არ მიექცია, სლავების ისტორია თავის დროსა და ადგილზე თვით ბიძანტიის ისტორიამი მოუვქციეთ და ამრიგად გზა ბიძანტიიდან პირდაპირ არაბეთისაკენ გავიკაფეთ.

6. აი კიდევ მოვლენათა თანამიმდევნების პრინციპის დაცვის ერთი მაგალითი. ქალაქების განვითარებაზე ჩვენ ჯვაროსნულ ლაშქრობათა დასრულების შემდეგ გადავედით: ევროპის ეკონომიური ზრდა და, მაშასადამე, ქალაქების გაძლიერებაც ჯვაროსანთა ლაშქრობის ერთერთი დიდი შედეგი იყო და კიდევ ამიტომ ქალაქების განვითარებაზე ლაპარაკი მაშინ ვამჯობინეთ, როდესაც განვითარების პირობების შემქმნელი ომები უკვე დამთავრებული იყო.

7. მაგრამ თუ თანამიმდევნების პრინციპის დაცვას შევეცადეთ, ჩვენ ისიც მოვინადინეთ, რომ მისი საჭიროება ყოველი მოსწავლისათვის შეგვეგნებინებია. გვინდოდა, რომ თავიდან თავზე გადასასვლელად იგი ნინასნარ მოგვემზადებინა და მიგვეხვედრებინა, თუ რატომ ვსწავლობთ მაგ. ხალხთა გადასახლებას შემდეგ ბაძანტიასა, ამის შემდგომ – ისლამს და ასე ბოლომდი, რათა მასალის სისტემატიზაციაში მას ინიციატივა თუ არა, აქტივობა მიანიც გამოეჩინა და საგნის შესწავლა უფრო გაადვილებოდა.

8. შერჩეულ მასალაში ჩვენ შიგადაშიგ ადგილი ქართველი ერის ისტორიიდან ამოკრებილს შესაფერის ცნობებსაც დაუთმეთ. ამ მხრივ მეტი ყურადღება საერთოდ ისლამისტების ისტორიას მივუპყართ: ისლამმა საზოგადოთ ქართველი ერის ისტორიაში ღრმა კვალი გააელო; მას იმთავითვე საქართველოს ერთი ნაწილი შეუდგა, და ამიტომაც, ვფიქრობთ, ქართველი მოსწავლისათვის ისლამის ისტორიის ყოველი მომენტი საინტერესო უნდა იყოს.

9. დასასრულს, ქრონოლოგიის მხრით ჩვენ სათანადო ზომიერება დავიცავით, მხოლოდ იმ თავისებურებით, რომ სახელმძ-

ღვანელოში ადგილი თითქმის მარტო იმ თარიღებს დაუთმეთ, რომელნიც მონაფეთა მიერ შესწავლილ უნდა იქნენ, თუ საერთოდ ქრონოლოგიური ცოდნა მოსწავლის ისტორიულ ცოდნას აღრმავეებს" [2.1-2].

ეს ვრცელი ამონარიდი საინტერესოა. აქედან კარგად ჩანს, რომ ვ. დონდუა შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოს დანერის დროს არსებულ სიძნელეებს არ გაურბოდა და იოლი გზით სიარულს არ აპირებდა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი სახელმძღვანელოს ნარმატების ერთ-ერთ სანინდარს ნარმოადგენს. სახელმძღვანელოს შექმნის დროს არსებულ რთულ პრობლემებს ვ. დონდუამ, შეიძლება ითქვას რომ, ურიგოდ როდი გაართვა თავი, რაც დიდწილად განაპირობებს მისი სახელმძღვანელოს მნიშვნელობას, თუმცა ზოგიერთი მიდგომის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. პირველ რიგში ასეთად მიგვაჩნია ჯვაროსნული ლაშქრობების და ქალაქების განვითარების მიმართება. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ქალაქების განვითარებაზე ჯვაროსნული ლაშქრობების დომინანტზე საუბარი დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. სახელმძღვანელოში უმთავრესად აქცენტი კეთდება ქვეყანათმცოდნეობით მიდგომაზე და ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დალაგების პრინციპზე. ამგვარი მიდგომა სრულიად ნორმალურია და იმდროინდელ ისტორიოგრაფიაში სავსებით მიღებული იყო. ის შუა საუკუნეების ისტორიის სისტემატიური სწავლების მომხრეა. ეს არის სახელმძღვანელოს დანერის ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდი.

ორიოდე სიტყვა სახელმძღვანელოს სტილზე, ენაზე. მისასალმებელია, რომ ვ. დონდუა სახელმძღვანელოში ცდილობს მოსწავლეებს შუა საუკუნეების ისტორიის რთულ საკითხებზე მოუთხროს მეტად სადად, მარტივად და გაუადვილოს მასალის აღქმა. ავტორი ყოველმხრივ ცდილობს დაიცვას ქართული

ენის სინმინდე, მაგრამ რუსიციზმის გავლენა მაინც შეინიშნება. რუსეთის 118 წლიან ბატონობას უკვალოდ არ ჩაუვლია.

უნინარესად, ბუნებრივია, უნდა გავარკვიოთ ვ. დონდუას სახელმძღვანელოს კონცეფცია. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. სახელმძღვანელოს მკვეთრად გამოკვეთილად პროგრესული ელფერი დაკრავს და ძირითადად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული. ეს არ იყო შემთხვევითი და უმთავრესად იმითაა განპირობებული, რომ ვ. დონდუას სახელმძღვანელო ევროპულ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მიღწევებს ეყრდნობოდა. ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იმ რუსული სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა შუა საუკუნეების ისტორია საქართველოში მეფის რუსეთის დროს. აქ შუა საუკუნეების ისტორია უპირატესად მონარქისტულ-კლერიკალური პოზიციებიდან განიხილებოდა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ვ. დონდუას სახელმძღვანელო არჩევანის გაცილებით დიდ უფლებას უტოვებდა მოსწავლეებს, ვიდრე შემდგომი საბჭოთა პერიოდის შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო, როდესაც მოსწავლეებს ძალად ახვედნენ თავს ერთადერთ სწორ მსოფლმხედველობას – მარქსიზმს. ერთ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ისტორიული მოვლენებისადმი მრავალგარანიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, ხოლო მეორე შემთხვევაში კი საქმე გვაქვს მონიზმთან. სახელმწიფო კი არ ახვევს მოსწავლეებს თავზე მისთვის სასურველ იდეებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა სახელმძღვანელოებში, არამედ ხელს უწყობს მათი უფლებების რეალიზაციას გააკეთოს თავისუფალი არჩევანი. ეს იყო ორი პრინციპულად განსახვავებული მიდგომა.

ვ. დონდუას ღრმა რწმენით, საგნის სწავლებისას მასწავლებელი უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი, სუვერენული და არაა საჭირო მიეჯახტოს სკოლის პროგრამას. ასეთი სუვერენული, დამოუკიდებელი პედაგოგის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად

თვითონ ბ-ნ. ვარლამ დონდუა გვევლინება. ეს არის საგნის სწავლებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება. ასეთი მასწავლებელი ყოველთვის საინტერესო გაკვეთილს ჩაატარებდა. თავის გარშემო შემოქმედებით ატმოსფეროს შექმნიდა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთი მასწავლებლის ხელში მოსწავლე მექანიკურად კი არ დაინახვლიდა გაკვეთილს, არამედ შეეცდებოდა ამ მასალის გააზრებას.

ვ. დონდუას სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო გროვას და ავტორი ცდილობს შეძლებისდაგვარად მიაპყროს ყურადღება ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენას. ეს სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ღირსებაა. მოსწავლე კი არ იზებირებს, იზუთხავს, ისტორიულ ფაქტებს, არამედ ცდილობს გაერკვეს მათ არსში. შეითვისოს მისი მნიშვნელობა. ეს საშუალებას გვაძლევს მოსწავლეს გაწუვითაროთ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ვ. დონდუა ცდილობს ფაქტობრივი მასალით არ გადატვირთოს სახელმძღვანელო. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

ვ. დონდუა ცდილობს არ ჩამორჩეს, ფეხი აუწყოს მის თანამედროვე მედიევისტის მიღწევებს. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს შუა საუკუნეების ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაცია, რომელიც სავსებით შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რასაც, სხვათა შორის, ვერ ვიტყვით მომდევნო პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიაზე. აქ მან მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური ხასიათი მიიღო და დაუპირისპირდა ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებს. მარქსისტული მიდგომა, დამოუკიდებელ საქართველოში არსებულ პერიოდიზაციის სქემების შემდეგ წინ გადადგმულ ნაბიჯად, როგორც ამას ხაზს უსვამდა მარქსისტული ისტორიოგრაფია, ძნელია მივიჩნიოთ [5. 46].

ვ. დონდუას შეხედულებით ძველ ისტორიას და შუა საუკუნეების ისტორიას შორის მიჯნას წარმოადგენს დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა 476 წელს, ხოლო შუა საუკუნეებსა და

ახალ ისტორიას შორის საზღვარია ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღება 1453 წლის 29 მაისს. ეს არის შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაციის ერთ-ერთი მისაღები ვარიანტი, რომელსაც დღესაც ბევრი მომხრეები ყავს. არის სხვა შეხედულებებიც. პირადად ჩვენ შუა საუკუნეებს და ახალ ისტორიას შორის მიჯნად სულ სხვა თარიღი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დასაწყისი - 1492 წელი - გვესახება [6].

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, ნამოიჭრება საკითხი რამდენ პერიოდად ყოფდა შუა საუკუნეების ისტორიას ვ. დონდუა. აღნიშნული საკითხისადმი ვარლამ დონდუას თავისებური მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში პირველ ყოვლისა იმდროინდელი ისტორიოგრაფიის გავლენის ანარეკლი მოჩანს. ვ. დონდუა შუა საუკუნეების ისტორიას, როგორც ჩანს, პირობით ორ პერიოდად ყოფდა. 1. ადრეული შუა საუკუნეები (V-XI სს.) და 2. განვითარებული (კლასიკური) შუა საუკუნეები (XI-XV სს.). ასეთ მიდგომას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ საკამათო შეიძლება იყოს. აქ, უწინარესად, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოები განელილი ჩანს და დაზუსტებას საჭიროებს. გვიანი შუა საუკუნეების ისტორიის ადგილი შუა საუკუნეების ისტორიაში გამჭვირვალე არაა, დამაჯერებლობა აკლია. ფაქტობრივად მას ჩამოერთვა მოქალაქეობის უფლება და ის კლასიკური შუა საუკუნეების ეპოქაში ჩაიკარგა. ეს კი სწორი არ უნდა იყოს.

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება გამოვარკვეოთ ვ. დონდუას სახელმძღვანელოში შუა საუკუნეების ისტორიის შიდაპერიოდიზაცია. საკითხი არის რთული და საინტერესო. სახელმძღვანელოში ეს თემა საგანგებოდ განხილული არ ყოფილა, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით ამ საკითხზე გარკვეულ მინიშნებას აუცილებლად მოვიძიებთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მისი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.

ვ. ფუნდუას შუა საუკუნეების ისტორიის შიგნით მნიშვნელოვან ნიშანს ეტყობა ესახებოდა XI საუკუნის მინურული, სახელდობრ ჯვაროსნული ლაშქრობები, ქალაქების აღმოცენება და უმწვავესი დაპირისპირება იმპერატორსა და პაპს შორის. ასეთი დაყოფა სავსებით მისაღებია, თუმცა აქცენტების დასმა საკამათო შეიძლება იყოს. აქ გამოსარკვევია ორი საკითხი. ქალაქების გენეზისის და ჯვაროსანთა ლაშქრობების მიმართება და ხომ არ დაირღვა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა? რა თქმა უნდა, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა კატალიზატორის როლი შეასრულეს და დააჩქარა ქალაქების განვითარება, მაგრამ ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგების რომანტიზაცია, გაიდიალება და ქალაქების წარმოშობისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულება, ცხადია, არ ღირს, ცალმხრივია. ქალაქების აღმოცენებამ, აღმოსავლეთთან ლევანტის ვაჭრობამ, მძლავრი სტიმული მისცა ჯვაროსნულ ლაშქრობებს. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. ამიტომ ჯვაროსნული ლაშქრობებისათვის რაიმე უპირატესობის მინიჭება დიდ სიფრფხილეს მოითხოვს. არც ის უნდა დავიწყინოთ, რომ იტალიაში და სამხრეთ საფრანგეთში ქალაქები შედარებით ადრე აღმოცენდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის (V-XI სს.) შიგნით მნიშვნელოვან მიჯნად მას შეიძლება წარმოდგენილი ჰქონოდა ისლამის აღმოცენება და კაროლინგების იმპერიის დაშლა IX საუკუნის შუა წლებში [2. 33-40, 53-60].

შუა საუკუნეების ისტორიის მეორე პერიოდს მკვეთრად გამოკვეთილი ქრონოლოგიურ ჩარჩოები გააჩნია. XI-XV საუკუნეები. შემთხვევითი როდია, რომ იგი აქ აქცენტს აკეთებს „განახლებულ ევროპაზე“ [2.118-140]. ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო კარგი იქნებოდა თხრობის დაწყება არა ცალკეული ქვეყნების ისტორიით, როგორც ეს სახელმძღვანელოში, არამედ ქალაქების განვითარებით, ჯვაროსანთა ლაშქრობებით. ამ ეპოქის შიგნით წყალგამყოფად მას შესაძლოა წარმოდგენილი ჰქონოდა XIV საუკუნის დასაწყისი - ნოდებრივ-წარმომადგენლობითი

მონარქიის წარმოშობა, ფეოდალური დაქსაქსულობის დასასრული, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება. გვიანი შუა საუკუნეების ისტორიას მესამე პერიოდი თუ განვითარებული შუა საუკუნეების შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა, მეორე ქვეპერიოდი? უფრო ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ავტორი მას აღიქვამს როგორც სერიოზულ ნიშანსვეტს განვითარებული შუა საუკუნეების ისტორიის შიგნით და მას ორ ქვეპერიოდად შეიძლება ყოფდეს: 1. ფეოდალური დაქსაქსულობის ხანა – XII-XIII საუკუნეები და 2. ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის აღმოცენება – XIV-XV საუკუნეები. ჩვენ უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ ეს არის შუა საუკუნეების ისტორიის ცალკე, მესამე პერიოდი – გვიანი შუა საუკუნეები [5. 31]. ვფიქრობთ, ასე უფრო ადეკვატურია.

ვ. დონდუას სახელმძღვანელოში მოცემულია დასავლეთ ევროპის ცალკეული დიდი ქვეყნების ისტორიის პერიოდიზაცია. ის ცდილობს ცალკეული ქვეყნების ისტორიის პერიოდიზაცია მიუსადაგოს მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციას. ეს ერთ-ერთი სწორი მიდგომაა.

ინგლისის შუა საუკუნეების ისტორიის დასასრულად მას პირობით ალისფერი და თეთრი ვარდების ომის დასასრული და 1485 წელს ინგლისის ტახტზე ტიუდორთა დინასტიის დამკვიდრება ესახება [2. 122-123. 7].

საფრანგეთის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის მიჯნად ვ. დონდუა პირობით იღებს XV საუკუნის მიწურულს, საფრანგეთის გაერთიანების პროცესის დასასრულს, კონკრეტულად კი ლუი XI-ის (1461-1483) მმართველობის დასასრულს [2. 129, 8].

გერმანიის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიის შორის საზღვარი ვ. დონდუას სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, რეფორმაციის დასაწყისზე გადის [2. 133-138, 9]. ვ. დონდუას სახელმძღვანელოში რეფორმაციის წინაისტორიის განხილვა

გამართლებულად არ მიგვაჩნია. ეს თემა არ უნდა მოვწყვიტოთ რეფორმაციას. არ შეიძლება რეფორმაცია განვიხილოთ ახალ ისტორიაში, ხოლო რეფორმაციის ნანამძღვრები კი შუა საუკუნეებში. ეს აშკარა შეუსაბამობაა. ალბათ, გაცილებით უპრიანი იქნებოდა შუა საუკუნეების გერმანიის ისტორიაზე საუბრის გასრულება პანზის კავშირის განხილვით.

ესპანეთის შუა საუკუნეების ისტორიის დასასრულად სახელმძღვანელოში პირობით აღებულია ფერდინანდის და იზაბელას მმართველობა, რეკონკისტას დასასრული, 1492 წელს გრანადის განთავისუფლება [2.129-130, 10].

ვ. დონდუას სახელმძღვანელოში მკაფიოდ არაა გამოკვეთილი იტალიის შუა საუკუნეების ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოები, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოში იტალიის ისტორია განხილულია ძალზე ფრაგმენტულად, არასრულად [2.138-139. 11]. ეს კი, ცხადია, საკმარისი არაა. ურიგო არ იქნებოდა ამ ეპოქის იტალიის ისტორიის თხრობის გასრულება რენესანსით.

მისასაღმებელია, რომ ვ. დონდუას სახელმძღვანელო არ შეინიშნება პოლიტიკური ისტორიის პრიმატი, რაც, სხვათა შორის, ფრიად ნიშანდობლივი იყო იმ დროს არსებული მრავალი სახელმძღვანელოსთვის [12]. ვ. დონდუას სახელმძღვანელოში საკმაოდ დანერჩილებით არის განხილული ამ ეპოქის პოლიტიკური ისტორია და მოწაფეებს აღნიშნულ თემაზე საკმაოდ უხვ და მდიდარ ინფორმაციას აწვდის. ეს ძალიან კარგია. და მაინც მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი საკითხი, ჩვენი აზრით, შედარებით მკრთალად, სუსტადაა, გაშუქებული. აქ შეიძლებოდა უფრო მეტის თქმა. ამით სახელმძღვანელო ბევრს მოიგებდა და შინაარსობრივად გამდიდრდებოდა. მოსწავლეებს კიდეც უფრო დააინტერესებდა.

ვფიქრობთ, ძალიან პატარა ადგილი ეთმობა ფრანკთა მეფე-ის მეროვინგების დინასტიიდან ხლოდვიგს [2. 48-49]. მკაფიოდ არ არის ხაზგასმული მეფე ალფრედ დიდის ბრძოლის მნიშ-

ვნელობა დანიელების წინააღმდეგ [2. 64]. ხომ არ აჯობებდა კანუტ დიდის მმართველობის (1017-1035) ცალკე, საგანგებო პატივს მონაკვეთად გამოყოფა. ვფიქრობთ, მისი მოღვაწეობა ამას სავსებით იმსახურებდა. ხომ არ ჩაიკარგა მისი მმართველობა ადრეული შუა საუკუნეების ბრიტანეთის ისტორიაში?

სახელმძღვანელოში აღნიშნული არაა ოტო I-ის ბრწყინვალე გამარჯვება უნგრელების წინააღმდეგ ბრძოლაში, მდინარე ლესთან, 955 წელს. [2. 99-100]. მართალია, ეს საკითხი სცილდებოდა მთავარ თემას, ბრძოლას პაპსა და იმპერატორს შორის, მაგრამ მასზე ორიოდ სიტყვის თქმა ურიგო არ იქნებოდა და ოტო I-ის მმართველობაზე კიდევ უფრო სრულყოფილ სურათს შეგვიქმნიდა. ამ გამარჯვებამ ოტო I-ის ხელ-ფეხი გაუხსნა.

კაპეტინგების დინასტიის გაძლიერება უნდა დავინყოთ ლუი VI-ის (1108-1137) და ლუი VII-ის (1137-1180) ზეობის ხანით. მათი მმართველობისადმი გვერდის ავლა აღნიშნულ საკითხზე ვ. დონდუას მსჯელობის მიწისია. [2. 123]. ვფიქრობთ, მკაფიოდ, ხაზგასმით უნდა ყოფილიყო აღნიშნული შარლ V-ის და ლუი XI-ის მეფობის მნიშვნელობა. საჭირო იყო მისი ცალკე პატივს მონაკვეთად გამოყოფა, როგორც ეს არის გაკეთებული ფილიპე II-ზე (1180-1223), ლუი IX-ზე (1226-1270), ფილიპე IV ლამაზზე (1285-1314) [2.123-128]. შარლ V-ის და ლუი XI-ის მმართველობა ნაკლები მნიშვნელობის არ ყოფილა. შეიძლება სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შემოკლება და ამ მონაკვეთის გაფართოება. მოსწავლეებისთვის ეს საინტერესო იქნებოდა. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულების გასაღები ვ. დონდუას მსოფლმხედველობაშია საძიებელი და უპირატესად იმით აიხსნება, რომ ის „ისტორიის ახსნისას ეკონომიკური მოძღვრების საფუძველზე დგას“ [2. 1].

ვ. დონდუას სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობა პაპობის ისტორიას, რაც შემდგომი პერიოდის ათეისტურ, საბჭოურ, ისტორიოგრაფიასთან შედარებით, სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. რომის პაპების საქმიანობის

მაღალი შეფასება სავსებით მართლზომიერია, მაგრამ მათი გაიდოლება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ამ კეთილგანწყობილების კულმინაციად რომის პაპის გრიგოლი VII ჰილდებრანდისადმი (1073-1085) დამოკიდებულება გვევლინება. მას წარმოაჩენენ როგორც პაპის იდეალს [2. 101-102]. ეს კი უკვე სულ სხვა უკიდურესობა იყო.

ვ. დონდუას სახელმძღვანელოში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალ-ეკონომიკურ ისტორიას, ყოფას, ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს, რელიგიას. ეს მისასაღმებელია და ძალიან კარგია. ამ პრობლემას ის ცალკე საგანგებოდაც განიხილავს და დაწვრილებით ჩერდება მასზე, მაშინაც როდესაც ცალკეული ქვეყნების ისტორიას გადმოგვცემს. ზოგადად განიხილავს ფეოდალიზმს და კონკრეტულად ჩერდება ცალკეული სახელმწიფოების სოციალურ ყოფაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს მეთოდი გამართლებული უნდა იყოს.

ცხადია, დღეს აქ გამოთქმული მოსაზრებების ერთი ნაწილი მოძველებულია, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მნიშვნელოვანი. აღნიშნული პრობლემის განხილვისას ვ. დონდუა ხშირად ევროპულ მედიევისტკაში არსებულ ნოვაციებზეა ორიენტირებული და მთელ რიგ საკითხებში მეცნიერულად სწორი პოზიციის დაკავებას ცდილობს. და ეს მაშინ როდესაც შემდგომი პერიოდის საბჭოთა, მარქსისტული ისტორიოგრაფია ამ საკითხებს სულ სხვა კუთხით მოუდგა და ძირითად აქცენტს მატერიალური ფაქტორის დომინანტზე აკეთებდა [13. 442-494]. სინამდვილე გაცილებით უფრო რთული და მრავალნაზნაგოვანია.

ეტყობა, ვ. დონდუა უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ ძველ გერმანელებში არსებობდა კერძო საკუთრება: „დიდი ოჯახი წერილ-წერილ ოჯახებად დანაწილდა. ამას შემდეგ ყოველ ოჯახს თავისი საკუთარი კარმიდამო და საბადებელი ჰქონდა“ [2. 6]. მიწაზე საკუთრების ხასიათი ბარბაროსთა საზოგადოებაში არ ატარებდა ერთმნიშვნელოვან ხასიათს, რაც იწვევს ისტორიკო-

სთა შორის აზრთა სხვადასხვაობას. უახლესი არქეოლოგიური მონაცემები მიგვანიშნებს, რომ „ძველ გერმანელებში არ იყო არც სოციალური და არც ქონებრივი თანასწორობა“ [14. 400, 15; 16; 94; 3; 77]. ვ. დონდუა აშკარად არ იზიარებს გერმანელი ისტორიკოსის გეორგ მაურერის და მისი მომხრე ისტორიკოსების მოსაზრებას ძველ გერმანელებში კოლექტიური საკუთრების არსებობის შესახებ. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია.

ევროპული ისტორიოგრაფიის კორიფეები, პირველ რიგში კი ანრი პირენი და მარკ ბლოკი ხაზს უსვამდნენ ფეოდალიზაციის გენეზისის პროცესში საგარეო ფაქტორის, არაბების, ნორმანების და უნგრელების შემოსევების, მნიშვნელობას. ვ. დონდუა დასძენს „ბენეფიციუმი ფეოდუმად რა გარეგანმა და შინაგანმა ძალებმა აქცია. ზედან პირველად ყურადღებას სახელდობრ გარეგან ძალებს მივაქციოთ, ხოლო ამ ძალთა შორის გულის ყური უფრო IX ს. ჩრდილოეთით ამოძრავებულ ნორმანთ და ამათ მოკლე ისტორიას მივადევნოთ. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ნორმანთა მოდგმას ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს საძირკველის გასკენამიც მიუღია მონანილეობა და საერთოდ საშუალო საუკუნეების დენაში სხვა ფრიად საინტერესო მოვლენებისათვისაც მიმართულება მოუცია“ [2. 66]. ეს იყო ფეოდალიზმის გენეზისის ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელსაც საბჭოთა ისტორიოგრაფია ან სრულიად უგულვებელყოფდა ან მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა. მოუხედავად ამისა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში ნორმანთა ისტორიის ჩართვა დამაჯერებლად არ მიგვაჩნია და ალოგიკურია. აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ სოციალ-ეკონომიკურ კონტექსტში პოლიტიკური ისტორიის თხრობის ჩართვა საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს. გაცნობით უმჯობესი იქნებოდა ეს საკითხი განხილულიყო ცალკე იქ სადაც საუბარია პოლიტიკურ ისტორიაზე [2. 61-62].

ყურადღებას იპყრობს აგარარული ყოფის განხილვის დროს დასმული აქცენტები. სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ ფეოდალიზმს საფუძვლად ედო პირადი ურთიერთობები, სე-

ნიორსა და ვასალს შორის „მფარველობა“ და „კერძოობითი მფარველობა“ [2. 69-70]. სენიორსა და გლეხს შორის ურთიერთობას წარმართავდა, არა მინათმოქმედებითი ურთიერთობები, არამედ პირადი დამოკიდებულება. ფეოდალს, პირველ რიგში, აინტერესებდა არა იმდენად მიწა, როგორც სამფლობელო, არამედ ხალხი რომელიც ამ მიწაზე იჯდა და სხვადასხვა ფორმით იმყოფებოდა სენიორთან პირად დამოკიდებულებაში. გერმანელი ისტორიკოსის პალბანა-ბლუმენშტოკის თქმით „მიწა კვებავეს ადამიანს, მაგრამ არ ამდიდრებს მას“. ჯერ კიდევ მარკ ბლოკი გვაფრთხილებდა, რომ სწორი არ იქნება სენიორსა და მის ხელქვეითს შორის ურთიერთობაში მხოლოდ ეკონომიკური მხარე დავინახოთ, რაც არ უნდა დიდი იყოს მისი მნიშვნელობა“. „არა ერთი ფრანკი ბარონი გიპასუხებდათ ზუსტად ისე, როგორც შოტლანდიელი მთიელი აზნაური, როდესაც კითხეს მას თუ რა შემოსავალს აძლევდა მიწა – ორმოცდაათი კაცი“ [17.131].

სახელმძღვანელოში მინიშნებაა ფეოდალიზმის გენეზისის საქმეში სამხედრო ფაქტორის ზემოქმედების მნიშვნელობაზე [2.70-71]. სამხედრო ორგანიზაცია იყო არაეკონომიკური დამორჩილების საშუალება და უზრუნველყოფდა ინდუსტრიამდელი საზოგადოების ეკონომიკის ფუნქციონირებას. [18. 19]. საფუძველი ეყრება შრომის განაწილებას: მებრძოლი, მლოცველი, მშრომელი. სახელმძღვანელოში, ვფიქრობთ, არის ამაზე მინიშნება „თუ აზნაურობა მსახურობდა, ქვეყანას მტრისგან იცავდა, გლეხკაცობა მუშაობდა, ქვეყანას აპურებდა“ [2. 83]. როგორც ხედავთ, აქ გამოტოვებულია მლოცველი და მისი ფუნქცია. შესაძლოა, აღნიშნულ თემაზე მსჯელობა მიამიტური, გულუბრყვილო იყოს, მაგრამ ძირითადი აქცენტების დასმა მეცნიერულია, რაც ამ განხილვის დადებითი მხარეა.

სკოლის სახელმძღვანელოში სოციალ-ეკონომიკური პრობლემების ასე დანვრისგან, დეტალურად, განხილვა ცოტა ზედმეტი ხომ არ იყო? ვფიქრობთ, ეს ურთულესს მონაფეებს

ამ მეტად ძნელ საკითხებში გარკვევას. ამიტომ ამ მონაკვეთის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, გამორიცხულად არ მიგვაჩნია. აქ, ვგულისხმობთ იმას, რომ ის ძალიან უნდა გავამარტივოთ და რაც მთავარია შევამოკლოთ [2. 60-90]. ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს მოთხოვნებს უფრო მეტად პასუხობს, ვიდრე საშუალო სკოლის. გამორიცხული არაა, რომ ვ. დონდუას სურდა ამ მონაკვეთის შემდგომი დახვეწა, მაგრამ ამის გაკეთება, უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, უკვე ვეღარ მოახერხა.

დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1920 წლებში გამოსულ შუა საუკუნეების სასკოლო სახელმძღვანელოებში ქალაქების გენეზის განიხილავდნენ მხოლოდ გაკვრით და შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, რაც ამ პრობლემის ადეკვატურ სურათს არ გვიხატავდა [12]. ამ მხრივ ვ. დონდუას სახელმძღვანელო ბედნიერ გამოწაკლისად უნდა მივიჩნიოთ. აქ ქალაქების განვითარება და მისი ისტორიული მნიშვნელობა კარგადაა ხაზგასმული და ჯეროვანი ადგილიც ეთმობა. ვ. დონდუა წინ წამოსწევს საინტერესო თემებს: ქალაქების კულტურული წარმატება, ქალაქების დამოუკიდებლობა, ქალაქთა აღმოცენების შედეგები. ქალაქის კულტურულ ფუნქციაზე ყურადღების გამახვილება მისი მსჯელობის პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს. საკითხის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, ალბათ, კარგი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო ქალაქების წარმოშობის მიზეზებზე. პრობლემა არის საინტერესო და ფრიად აქტუალური. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს და მომგებიანი იქნებოდა [2.113-118].

მისასალმებელია, რომ სახელმძღვანელოში უყურადღებოდ არ რჩება ამ ეპოქის სულიერი ცხოვრება, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, კულტურის ისტორია. ცხადია, ეს ძალიან კარგია და სახელმძღვანელოს კიდევ ერთ დადებით მხარედ გვევლინება. ის ამ თემას ეხება ორ ასპექტში: ზოგადად და კონკრეტულად. სახელმძღვანელოში ვრცელად არის განხილული დასავლეთ ევ-

რობის კულტურა XII საუკუნეებამდე [2.93-97]. ალბათ, კარგი იქნებოდა ამ მონაკვეთის გასრულება დანტე ალიგიერის (1265-1321) შემოქმედებით. ეს აღნიშნულ საკითხზე მონაფეებს კიდევ უფრო მეტად სრულყოფილ ნარმოდგენას შეუქმნიდა, მაგრამ ეს ასე არ ხდება, რაც ნაწილობრივ იმით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული, რომ სახელმძღვანელოში სიტყვაკაზმული ლიტერატურა განხილული არ არის და შესაძლოა, ეს საგანი ცალკე ისწავლებოდა – საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია. ეტყობა, ავტორი მოერიდა სახელმძღვანელოს მასალით გადატვირთვას. ეს სავსებით სწორი იყო. ამავე დროს სახელმძღვანელოში კონკრეტული ქვეყნების ისტორიის განხილვის დროს მოკლედ მიმოიხილება მათი სულიერი ცხოვრება, კულტურა. ეს მეთოდი სავსებით გამართლებულია. ვფიქრობთ, სასურველი იყო სახელმძღვანელოში ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, თქმულიყო „ოტონის აღორძინებაზე“. მართალია, ეს თემა ცილდება პაპთა და იმპერატორთა დაპირისპირებას, მაგრამ სახელმძღვანელოში ამ სოფეტის ჩართვა მომგებიანი იქნებოდა და მას შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა.

სახელმძღვანელოს კიდევ ერთ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ აქ არ შეინიშნება ევროპოცენტრიზმის გავლენა, რაც მეტად მახასიათებელი იყო იმ დროს გამოცემული არაერთი სახელმძღვანელოსთვის. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამავე დროს აღმოსავლეთის ქვეყნების ჩართვის არეალის შემდგომ გაფართოება ურიგო როდი იქნებოდა.

ვფიქრობთ, სასურველი იყო ვ. დონდუას სახელმძღვანელოში სასანიდური ირანის ჩართვა. ის აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოა, რომელსაც შეხების ნერტილები ჰქონდა როგორც ბიზანტიასთან ისე არაბებთან და ეს დაპირისპირება საქართველოსაც შეეხებოდა. ამ კონტექსტში საკითხის განხილვა მონაფეებისათვის საინტერესო იქნებოდა.

რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი ინფორმაცია იყო საჭირო თურქ-სელჩუკებზე, ალბათ, ამ თემას ცალკე, საგანგებო, მონ-

აკვეთი შეიძლება დათმობოდა. ფაქტობრივად, ეს საკითხი ბიზანტიის ისტორიაში ჩაიკარგა, რაც ურთულესს მოსწავლეს მისი მნიშვნელობის აღქმას [2. 32-33].

სახელმძღვანელოში განხილული უნდა ყოფილიყო მონღოლ-თათართა სახელმწიფოს წარმოშობა და მისი წარმატებები. მათ ღრმა კვალი დატოვეს მსოფლიო ისტორიაში და ამის გამოცხადება გამართლებული არ უნდა იყოს.

ფრაგმენტულ ხასიათის ატარებს რუსეთის ისტორიის განხილვა. ის გაკვრით ჩერდება 988 წელს მთავარ ელადიმერის მიერ რუსეთის გაქრისტიანებაზე და ეხება საუფლოსწულო წყობას ძველ რუსეთში [2. 31, 89-90]. პოლიტიკური ისტორიის მოკლე მიმოხილვა სრულიად იგნორირებულია, რაც მოსწავლეს ამ ქვეყნის ისტორიის ამომწურავ სურათს ვერ უქმნის. ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ეს თემა ცალკე გამოგვეყო და უფრო ვრცელად განგვეხილა.

სახელმძღვანელოში უყურადღებოდ არ რჩება საქართველოს კავშირი გარე სამყაროსთან, სახელდობრ მეზობელ სახელმწიფოებთან. ფაქტობრივად, ეს არის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული თემის განხილვის ერთ-ერთი პირველი სერიოზული მცდელობა. მის მნიშვნელობას და ღირებულებას, ვფიქრობთ, სწორედ, ეს გარემოება განსაზღვრავს.

სახელმძღვანელოში ეს საკითხი განხილულია ფრაგმენტულად და ამიტომ მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, გამორიცხულად არ მიგვაჩნია. იგი ეხება არაბებს და მის მნიშვნელობას საქართველოსთვის [2. 43-46] და პატრონყმობას საქართველოში [2. 43-46]. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა.

შედარებით მკრთალად, სუსტადაა, გაშუქებული საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები. მას ავტორი მხოლოდ გაკვრით ახსენებს [2. 31]. ამ საკითხის გაშლა, რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნებოდა და მოწაფეებს მეტად დააინტერესებდა.

ვფიქრობთ, ფრიად სასურველი იქნებოდა სულწუკების გამოჩენის და ჯვაროსანთა ლაშქრობების საქართველოს ისტორიასთან კონტექსტში განხილვა, მაგრამ ეს ასე არ ხდება.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ვ. დონდუას სახელმძღვანელოში არაა ხაზგასმული 1453 წლის 29 მაისის ბიზანტიის დაცემის მნიშვნელობა საქართველოსათვის [2,140]. ამ თემის წინ წამოწევა მხოლოდ მომგებიან ქულებს შესძენდა სახელმძღვანელოს და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მას. მოსწავლეებში კი დიდი ინტერესს გამოიწვევდა.

1918-1920 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემული მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები, მათ შორის ვ. დონდუას წიგნი, მსოფლიო ისტორიის ქართული ტერმინოლოგიის დადგენის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. სწორედ, ამაში მდგომარეობდა მისი მნიშვნელობა. პირველ რიგში, თვალში მოგხვდება რუსიციზმის რეციდივები, რომელიც ადვილი გასაგებია. რუსეთის 118 წლიან ბატონობას უკვალოდ არ ჩაუვლწა. შემდგომი პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ ეს სახელები და ტერმინები კიდევ უფრო დააზუსტა, დახვეწა, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს მათ ღვანლს მსოფლიო ისტორიის ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში. ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ მათ დაინყეს ეს საშური საქმე.

ორიოდე სიტყვით, შევხებით სახელმძღვანელოს გაფორმებას. მისასალმებელია, რომ სახელმძღვანელოში მოთავსებულია ილუსტრაციები, რომელიც თუ გავითვალისწინებთ იმ დროის პოლიგრაფიის დონეს, ალბათ, ურიგო არ უნდა იყოს. სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოს დართული პქონოდა ქრონოლოგიური ტაბულა და რუკები.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს მეთოდურ აპარატს ის აშკარად მოიკოჭლებს. ეს, უწინარესედ იმით გამოიხატება, რომ სახელმძღვანელოში არ გვხვდება კითხვები. ეს სასკოლო სახელმძღვანელოს სერიოზული მინუსია, რაც, უმთავრესად

იმით აიხსნება, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია მხოლოდ ფეხს იდგამდა, ვითარდებოდა.

ამრიგად, შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს დანერგა ახალგაზრდა 24-25 წლის მასწავლებლის დიდი წარმატება იყო და ქართული მედიევისტიკის წინაშე ვარლამ დონდუას დამსახურებად მიგვაჩნია. ამის წაყრუება, მიჩუმება, მივიწყება მართებული არ იქნებოდა. ვ. დონდუას სახით საქმე გვაქვს შუა საუკუნეების ისტორიის ჩინებულ პედაგოგთან, რომელიც აღნიშნულ საგანს საკმაოდ საინტერესოდ და მაღალ დონეზე შეასწავლიდა მოსწავლეებს. ალბათ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ვარლამ დონდუა ძალიან კარგად ერკვეოდა შუა საუკუნეების ისტორიაში. მისი როგორც კვალიფიცირებული მედიევისტიკის პოტენციალი სრულიად აშკარაა და საკმაოდ დიდია. ყოველგვარ ეჭვს გარეშე, რომ ის ამ გზას რომ გაყოლოდა და დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიაში გაეგრძელებინა მუშაობა დიდ წარმატებას მიაღწევდა და ჩამოყალიბებოდა როგორც ამ ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი საქართველოში. საფიქრებელი იყო, რომ სახელმძღვანელოზე მუშაობა შემდგომშიც გაგრძელდებოდა, მოხდებოდა მისი სრულყოფა, დახვეწა, მაგრამ, უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ასე არ მოხდა, ხოლო 30-იანი წლების შუა ხანებიდან ქართული ისტორიოგრაფია სულ სხვა გზით ნავიდა. მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. გამოეთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ თუ არა პოლიტიკური სიტუაცია ვარლამ დონდუას თავისი ვინაობა სპეციალობის სფეროდ, შესაძლოა, სწორედ შუა საუკუნეების ისტორია აერჩია. დამოუკიდებელ საქართველოში, 1918-1920 წლებში, გამოსულ შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებს შორის, ვ. დონდუას ნიგნი, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული წყარომცოდნეობა, წიგნი III. თბ., 1971.
2. ვ. დონდუა, საშუალო საუკუნეთა ისტორია, ქუთაისი, 1920.
3. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
4. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
5. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
6. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის – მაცნე, ისტორიის სერია, № 2. 1992; კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის – „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, № 1. 1992; Каландадзе М., Грузинские школьные учебники по новой истории, «Преподавание истории в школе», №7. 1994.
7. მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005; ინგლისის ისტორია (ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის), სასწავლო პროგრამა. შემდგენელი მ. კალანდაძე, რედაქტორი კ. ანთაძე, თბ., 2005; მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორიის პერიოდიზაცია – კლიო, № 20. 2003.
8. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005; საფრანგეთის ისტორია (ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის) სასწავლო პროგრამა. შემდგენელი მ. კალანდაძე, რედაქტორი კ. ანთაძე, თბ., 2005; მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორიის პერიოდიზაცია – კლიო, № 21. 2004.
9. მ. კალანდაძე, გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2002; გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, სასწავლო პროგრამა, შემდგენელი მ. კალანდაძე, რედაქტორი კ. ანთაძე, თბ., 2002; მ. კალანდაძე, გერმანიის ისტორიის პერიოდიზაცია – კლიო, № 17.2003.

- 10 მ. კალანდაძე, ესპანეთის ისტორიის პერიოდიზაცია – კლიო, № 29, 2006.
- 11 მ. კალანდაძე, იტალიის ისტორიის პერიოდიზაცია – კლიო, № 28, 2005.
- 12 ჩვენი აზრით, ეს ტენდენცია შეინიშნება დამოუკიდებელ საქართველოში გამოსულ შუა საუკუნეების ისტორიის სხვა სახელმძღვანელოებში. საშუალო საუკუნეთა ისტორია, შემდგენელი ი. გველესიანი, თბ., 1920; ალ. ნერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწ. 2. საშუალო საუკუნეები, თბ., 1920; ა. ვულფოუსი, საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო, ქუთაისი, 1919.
13. Энгельс Фр., К истории древних германцев – Маркс К. и Энгельс Фр., соч... т. 19. М., 1962. ფრ. ენგელსის თეზისი უდევს საფუძვლად ა. ი. ნეუსიხინის ნაშრომს Возникновение зависимого крестьянства как класса раннефеодального общества в Западной Европе VI-VIII вв М., 1956. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სულ სხვა გზით მიდიოდა ის 20-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომში Общественный строй древних германцев, М., 1929. სულ სხვა გზით მიდის პროფ. ა. გურევიჩი. დაწვრილებით იხ. მისი Проблемы генезиса феодализма в Западной Европе, М., 1970, რის გამოც ის ორთოდოქსმა მარქსისტებმა არაკონსტრუქციული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.
14. История средних веков, М., 1991.
15. Вестник древней истории, № 1. М., 1990.
16. Гуревич А., История историка, М., 2004.
17. Блок М., Характерные черты французской аграрной истории М., 1957.
18. Блок М., Феодальное общество, М., 2003. ამ საკითხზე დაწვრილებით მ. კალანდაძე, მარკ ბლოკის ნიგნი „ფეოდალური საზოგადოება“ – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ნაკვეთი 2. თბ., 2007.
19. უ. დიუბი, რაინდი, ქალი და მღვდელი, თბ., 2005.

დასკვნა

ქართულ მედიევისტიკაში აღნიშნული პრობლემა დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. ეს არცაა გასაკვირი და უპირატესად პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებით იყო განპირობებული. ეს საკითხი ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა. საბჭოთა პერიოდში დამოუკიდებელი საქართველო მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებოდა, სადაც თითქოს არაფერი დადებითი, პოზიტიური, არ გაკეთებულა. ასეთი იყო პოლიტიკური დაკვეთა. სინამდვილეში ეს ასე არ იყო.

რა მეცნიერული ღირებულება გააჩნია ამ პრობლემას? ამ კითხვაზე რამდენადმე დამაჯერებელი პასუხი, რომ გავცეთ აუცილებლად საჭიროა შევიმუშავოთ სწორი კრიტერიუმი. ამ პერიოდის სრული იგნორირება, წაყრუება, მიჩუმება, როგორც ამას სჩადიოდა საბჭოთა ხელისუფლებას, ცხადია, სწორი არ იყო და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნდა. ამგვარი მიდგომა დღეს უკვე მოძველებულია და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ეს ერთი ხედვაა. არის სხვა მიდგომა. არც ის შეიძლება რომ ამ სახელმძღვანელოებს მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმით შევხედოთ და დღევანდელი გადასახედიდან შევაფასოთ. ასეთი სუპერკრიტიკული მიდგომა მეტად მკაცრია და ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე რეალისტურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა. ეს ადვილი გზით სიარული იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ასეთ მეცნიერულ მიზნებს მაშინ არც არავინ ისახავდა. ამ სახელმძღვანელოების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქართული საზოგადოებისთვის, პირველ რიგში კი მოსწავლეებისთვის, შუა საუკუნეების ისტორიაზე საერთო წარმოდგენა შეექმნა. უნდა

ითქვას, რომ ამ კულტურტრეგერულ მისიას მათ ურიგოდ როდი გართვეს თავი. ეს არის მთავარი. ამ სახელმძღვანელოებმა თავისი სიტყვა თქვეს საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის თემატიკით დაინტერესების და პოპულარიზაციის საქმეში. ამის ნაყრუება, მიჩუმება, მიჩქმალვა, უმართებულო იქნებოდა. მათ მეცნიერულ მნიშვნელობას მათი შემეცნებითი დატვირთვა განსაზღვრავს. ფაქტობრივად შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოები გვევლინება მედიევისტის პრობლემების გაშუქების პირველ მცდელობად ქართულ სინამდვილეში. დამოუკიდებელ საქართველოში პირველად შეიქმნა შუა საუკუნეების ისტორიის ეროვნული სახელმძღვანელოები. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დღევანდელ გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება სწორი არ უნდა იყოს და მარქსისტული ხედვის რეანიმაციად მიგვაჩნია.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების ისტორიის სწავლების და შესწავლის დროს დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურებს სწორი კურსი უნდა ჰქონოდათ შემუშავებული, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ისინი საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომაზე იყვნენ ორიენტირებული. ამგვარი ხედვის პირველ საფეხურს შუა საუკუნეების ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა წარმოადგენდა. ეს იყო სავესებით პრაქტიკული და სწორი ნაბიჯი, რომლის გარეშეც სკოლაში შუა საუკუნეების ისტორიის ნორმალურად სწავლება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა. ეს სახელმძღვანელოები, უდაოდ, საინტერესოა, მნიშვნელოვანია და ქართული მედიევისტის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. მას გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

საბჭოთა ეპოქაში ქართული მედიევისტის განვითარების საერთო სურათს უმთავრესად ცალმხრივად, სწორხაზოვნად, გვიხატავდნენ, რაც უპირატესად იმით აიხსნებოდა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოები პრაქტიკულად სრულიად იგნორი-

რებული, მივინყებულები იყო. ქართული მედიევისტიკის ისტორიის ეს პერიოდი თითქმის გაქრა, გაუჩინარდა, ხოლო ქართული მედიევისტიკის განვითარება შესამჩნევლად გაუფერულდა, გაფერ-მკრთალდა, ერთი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩარჩოებში მოექცა. სხვა პერიოდები თითქოს არც ყოფილა. სინამდვილე სულ სხვაგვარია. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ქართული მედიევისტიკის საერთო პანორამა გაცილებით უფრო მრავალფეროვანი იყო, ვიდრე ამას კომუნისტური რეჟიმის დროს გვიხატავდნენ.

აღნიშნული პრობლემის გამორკვევა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ორი საინტერესო დასკვნა: 1. მედიევისტიკის თემატიკით დაინტერესებას საფუძველი ჩაეყარა, არა საბჭოთა პერიოდის საქართველოში, როგორც ამას გეიმტიკებდნენ სულ ცოტა ხნის წინათ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, დამოუკიდებელ საქართველოში. ამ ხანებში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაციაა; 2. ქართული მედიევისტიკის განვითარება სულაც არ ატარებდა ისეთ ერთფეროვან, სწორხაზოვან, ხასიათს, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში ირწმუნებოდნენ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველად ქართულ მედიევისტიკას მეცნიერული კურსი პქონდა ალებული და უპირატესად ევროპულ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსულ ისტორიოგრაფიაში, არსებულ ნოვაციებზე, სიახლეებზე, იყო ორიენტირებული. ფრიად სიმპტომატური უნდა იყოს, რომ ისინი უმთავრესად ყურადღებას მიაპყრობენ იმ სახელმძღვანელოებს, რომლებიც დანერვილია პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან. ასეთი არჩევანი თავისთავად საინტერესოა და მასში ჩადებულია პოლემისტური მუხტი, გმობს შუა საუკუნეების ისტორიის კლერიკალურ-მონარქისტული პოზიციებიდან გაშუქებას. ეს უკვე იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოების ავტორების დამოკიდებ-

ულება მათდამი შემოქმედებით იყო. ისინი ბრმად კი არ იღებენ რუსულ სახელმძღვანელოებს, არამედ ცდილობენ ეს მიღწევები მოუსადაგონ ქართული სკოლის მოთხოვნებს. ეს ქართული სახელმძღვანელოების კიდევ ერთი პლუსია, და ბოლოს, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, მედიევისტის მთელ რიგ საკითხებს ისინი უდგებიან საერთაშორისო სტანდარტებით, მეცნიერულად. სახელდობრ ასეთად მიგვაჩნია შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაცია, გერმანულ-რომაული სინთეზის თეორია, პირად კავშირებზე ყურადღების გამახვილება, საგარეო ფაქტორის როლის ხაზგასმა, მინიშნება ფეოდალიზმის გენეზისის საქმეში სამხედრო ფაქტორის ზემოქმედების მნიშვნელობაზე, ევროპოცენტრიზმის დაძლევა. ვფიქრობთ, სწორედ, ამასი მდგომარეობდა ამ სახელმძღვანელოების ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა. ეს კარგი ტრადიცია ძველი ინერციით 30-იანი წლების შუა ხანებამდე გაგრძელდა და მასში საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი ანარეკლი მოჩანს. საბჭოური პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია სხვა გზით წავიდა, სულ სხვა აქცენტები დასვა და მედიევისტის კარდინალური საკითხები კლასობრივი და ფორმაციული თვალთახედვით წარმოაჩინა. ეს არ იყო უკანასკნელი ქმშმარიტება. მნიშვნელოვანნილად, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საბჭოთა მედიევისტის საბოლოოდ ჩიხში აღმოჩნდა და კრიზისმა ლეტალური, სასიკვდილო, ხასიათი მიიღო.

ქართული მედიევისტის განვითარების ეს პერიოდი, 1918-1920 წლები უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მრავალი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ და მაინც მოუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ ქართული მედიევისტის განვითარებაში ამ პერიოდმა თავისი კვალი დატოვა. საკმარისია აღინიშნოს, რომ დროის მეტად მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში,

სულ რალაც ორნელინადნახევარში, გამოვიდა შუა საუკუნეების ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელო. ეს, ვფიქრობთ, ცოტა როდია.

ამრიგად ეს პატარა მონაკვეთი - 1918-1921 წლები, ქართული მედიევისტიკის ჩასახვის და განვითარების პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნა შუა საუკუნეების ისტორიის ეროვნული სახელმძღვანელოები. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი საშური საქმე გაკეთდა. ფაქტობრივად საძირკველი ჩაეყარა შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციას, დაინტერესებას. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე თვისებრივად წინგადადგმულ ნაბიჯს ნარმოადგენდა. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის მედიევისტიკის განვითარების დონეს და გაააჩნდა თავისი ღირსებები და ნაკლი. მათი აპოლოგეტური შეფასება მართებულად არ მიგვაჩნია. ეს უკვე სხვა უკიდურესობაა. ამ მონაკვეთის მეცნიერულ მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დატვირთვა განსაზღვრავს. განსაკუთრებით მტკიცეწულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ თავდაპირველად ქართულ მედიევისტიკას სწორი, მეცნიერული კურსი ჰქონდა არჩეული და უპირატესად იმ ნოვაციებზე იყო ორიენტირებული, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსულ მედიევისტიკაში, მაგრამ შემდგომში ძირითადად მძლავრი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზენოლის შედეგად იძულებული გახდა გადაეხვია არჩეული გზისთვის. ქართული მედიევისტიკის განვითარებამ მეცნიერული ხასიათი მიიღო, მაგრამ ერთი მარქისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში მოექცა. სხვა არჩევანი არ არსებობდა. განსხვავებული აზრი იდევნებოდა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“.

დროა ამ სახელმძღვანელოებს გადავნიხნოდოთ მივიწყების სქელი მტვერი. მათ უნდა დაიკავონ თავისი კუთვნილი ადგილი ქართული მედიევისტიკის განვითარებაში. ეს სახელმძღ-

ვანელოები ფაქტობრივად წარმოადგენს ქართული მედიევისტიკის პირველ ნაბიჯს, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ვფიქრობთ, სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ისტორიოგრაფიული დატვირთა, მნიშვნელობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნა შუა საუკუნეების ეროვნული სახელმძღვანელოები. დამოუკიდებელ საქართველოს შეუძლია იამაყოს ამით.